



J. B. Audit

შპს სტერეო+

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-7
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11-12
განმარტებითი შენიშვნები	14-41

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შემდეგი ანგარიში, რომლის წაკითხვაც უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობებთან ერთად, შეიქმნა ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორთა შესაბამისი პასუხისმგებლობების განსაზღვრის მიზნით, შპს სტერეო+-ის (შემდგომში, „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში, „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებს, კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს და კონსოლიდირებულ ცვლილებებს კაპიტალში აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის და პრინციპების შერჩევაზე და მათ თანმიმდევრულად გამოყენებაზე;
- გონივრული და წინდახედული მსჯელობებისა და შეფასებების გაკეთებაზე;
- განცხადებაზე, რომ დაცულია თუ არა მსს ფასს-ის მოთხოვნები და ყველა არსებითი საკითხი განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ; და
- ფუნქციონირებად საწარმოდ დაშვების პრინციპით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, გარდა შემთხვევებისა როდესაც არ არის მიზანშეწონილი ვარაუდი, რომ ჯგუფი განაგრძობს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და სანდო სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- სათანადო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და რომელიც საშუალებას მისცემს ხელმძღვანელობას უზრუნველყოს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-სთან შესაბამისობა.
- ჯგუფის საქმიანობის იურისდიქციაში მოქმედი, ადგილობრივი კანონმდებლობის და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ისეთი ზომების მიღებაზე, რომლებიც ხელმძღვანელობისთვის გონივრულად ხელმისაწვდომია; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და გამოვლენაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

მალხაზ კვარაცხელია

დირექტორი: _____

ნუნუ მესხი

ბუღალტერი: _____



აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. “ჯ. ბ. აუდიტი”
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.ibauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სტერეო+-ის პარტნიორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ მოვახდინეთ შპს „სტერეო+“-ის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის დამატებით გადახდილი კაპიტალი შეადგენს 604,150 ლარს, რომელიც წარმოადგენს 2014 წელს კომპანიის მესაკუთრეების მიერ კაპიტალში შეტანილი ქონების ღირებულებას. 2021 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფის ძირითადი საშუალებები მოიცავს 268 913 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ერთეულებს (2020: 309 274 ლარი). ამ ერთეულების თვითღირებულება განისაზღვრა 604,150 ლარის ოდენობით დამოუკიდებელი შეფასებით, რომელიც განახორციელა შპს „აუდიტის ცენტრმა“ 2014 წლის 26 ნოემბერს. ჩვენ არ დავკმაყოფილდით ვარაუდებით და ქონების შესაფასებლად გამოყენებული საფუძვლებით, შესაბამისად არ დავკმაყოფილდით ამ ერთეულების თვითღირებულებით და შესაბამისი დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი ზარალით.

ჩვენ ვერ დავესწართ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 126 326 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ასევე, ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები, პირობითი მოსაზრებისთვის საკმარის და შესაბამის საფუძველს წარმოადგენს.

მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2-ე შენიშვნაში აღნიშნული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიგვანიშნებს რომ , რომ წინა წლებისგან განსხვავებით კომპანია ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსებს ვალდებულებების დასაფარავად. ლიკვიდურობის კუთხით არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ 2021 წლის იანვარში კომპანიის დაფინანსების კუთხით განხორციელებული ცვლილებებით, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში მენეჯმენტი საუბრობს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებულ საგადასახადო შეთანხმების აქტზე, რომლის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიის საგადასახადო ვალდებულება. კომპანიის მიერ სრულად იქნა დაფარული აღნიშნული შემცირებული საგადასახადო ვალდებულება. ამასთან, კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირებადობის უნარის შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დებიტორული მოთხოვნების ლიკვიდურობაზე. მენეჯმენტი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიას ფინანსურად დაეხმარება კომპანიის 25% წილის მფლობელი პარტნიორი - რობერტ ხახალავი.

კომპანია სტერეო+ მის შვილობილ კომპანიასთან, შპს დი+ -თან ერთად (შემდგომში, „ჯგუფი“) უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობას, გადაცემის მომსახურებას, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნასა და მხარდაჭერას, ციფრულ მაუწყებლობას. სამაუწყებლო სფეროებში არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები, რომელიც არსებითად ექვის ქვეშ დააყენებს კომპანიის უნარს განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ „Chemexim International“-სა და კომპანიის აქციონერს, „დავით ზილფიმიანს“ შორის წარმოქმნილ დავაზე, რომელიც დაიწყო 2014 წლის 31 იანვარს. „Chemexim International“, როგორც მოსარჩელე მხარე, ედავებოდა დავით ზილფიმიანს, რომელმაც გასცა სესხი 252,000 ევროს და 14,000 აშშ დოლარის ოდენობით სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე და განახორციელა გადარიცხვა ბანკის მეშვეობით. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, თუმცა უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა იგი, რამაც გამოიწვია კომპანიაში დავით ზილფიმიანის წილის დაყადაღება და დაიწყო აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ხოლო აქციონერებმა და შპს „სტერეო +“ - მა მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ სამაუწყებლო კომპანიის აქციების საზოგადოებრივი აუქციონის წესით გაყიდვა დაუშვებლად გამოცხადდეს, რაც ეწინააღმდეგება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ გაყიდვის პროცედურებს.

2019 წლის 17 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა პარტნიორების სარჩელი. (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/6/1311). 2021 წლის 12 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების (საქმე №2/15922-21) თანახმად პარტნიორის დავით ზილფიმიანის წილზე მოიხსნა უფლებრივი შეზღუდვა ყადაღის სახით.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით და საჭიროების შემთხვევაში, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარმოადგინოს განგრძობითობასთან დაკავშირებული საკითხები და სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველები, გარდა შემთხვევებისა როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს რაიმე სხვა რეალური არჩევანი გარდა ზემოთ აღნიშნულისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არ არის გარანტია იმისა, რომ ასს-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მიჩნეული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ცალ-ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ნაწილის სახით, ჩვენი აუდიტის მსვლელობისას ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ, თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ ვქმნით და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ გამოტოვებებს, არასწორ ასახვას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ვიაზრებთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემებს, გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვის მიზნით, მაგრამ არა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და ხელმძღვანელობის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთებულ ახსნა-განმარტებებს.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს აღრიცხვის პრინციპის გამოყენების შესაბამისობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების მიხედვით, ვაფასებთ არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში გავამახვილოთ ყურადღება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაკავშირებულ ახსნა-განმარტებებზე ან, თუ მსგავსი ახსნა-განმარტებები არ არის ადეკვატური, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ჯგუფმა ვერ გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, ახსნა-განმარტებების ჩათვლით და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებსა და მოვლენებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი სამართლიანი წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას, ჯგუფის შიგნით საწარმოებისა და ბიზნეს საქმიანობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და მოსწრებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ აუდიტის დაგეგმილ

მასშტაბებსა და ვადებს და მნიშვნელოვან აუდიტორულ დასკვნებს, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის სისტემების ნებისმიერი არსებითი ნაკლოვანებების ჩათვლით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით და რამდენად თანხვედრილია საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან მმართველობით ანგარიშში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ბესიკ ჯოზავა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-230452**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

04 ივლისი 2022 წელი

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2021	2020
	შენიშვნები		
შემოსავალი	4	10,515,116	9,348,263
გაყიდვების თვითღირებულება	5	(7,336,267)	(6,364,804)
საერთო მოგება		3,178,849	2,983,459
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	4,312,565	139,755
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,113,341)	(3,335,849)
ფინანსური ხარჯები	8	182,540	(1,127,137)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(1,115,418)	(178,818)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		1,266,346	(4,502,050)
მოგების გადასახადი			
მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში		4,445,195	(1,518,591)
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი):			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,445,195	(1,518,591)

მალხაზ კვარაცხელია

დირექტორი _____

ნუნუ მესხი

ბუღალტერი _____

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2021	2020
აქტივები	შენიშვნები		
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,186,040	8,301,221
არმატერიალური აქტივები	11	100,692	131,208
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	12	129,910	383,560
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,416,642	8,815,989
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	126,934	108,022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	14	3,225,077	3,645,744
მოთხოვნები დამფუძნებელთა მიმართ	16	-	1,363,406
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	438,643	395,147
გადახდილი ავანსები		163,653	150,402
სულ მიმდინარე აქტივები		3,954,308	5,662,721
სულ აქტივები		12,370,950	14,478,710
კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრის კაპიტალი	16	1,607,621	1,607,621
დამატებით გადახდილი კაპიტალი	16	7,368,458	8,920,064
დაგროვილი ზარალი		(2,858,871)	(7,343,170)
სულ კაპიტალი		6,117,208	3,184,515
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	2,299,099	264,493
ფინანსური იჯარის ვალდებულება	18	-	24,086
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,299,099	288,578
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	17	492,591	3,146,218
ფინანსური იჯარის ვალდებულება	18	-	14,019
დღგ-ს ვალდებულება	19	61,340	1,022,150
მიღებული ავანსები		357,489	357,215
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,864,989	3,707,907
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	21	178,234	2,758,108
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,954,643	11,005,617
სულ ვალდებულებები		6,253,742	11,294,195
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,370,950	14,478,710

მალხაზ კვარაცხელია

დირექტორი _____

ნუნუ მესხი

ბუღალტერი _____

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

		საწესდებო კაპიტალი	ცვლილება საწესდებო კაპიტალში	გაუნაწილებელი მოგება /(დაგროვილი ზარალი)	სულ
	შენიშვნები	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს		1,607,621	8,920,051	(5,881,126)	4,646,546

-

საწესდებო კაპიტალის ზრდა	16				
კორექტირება				56,560	56,560
დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული შენატანები					-
დივიდენდი					-
მთლიანი სრული შემოსავალი				(1,518,591)	(1,518,591)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		1,607,621	8,920,051	(7,343,157)	3,184,515

საწესდებო კაპიტალის ზრდა	16				
კორექტირება				39,091	39,091
დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული შენატანები			(1,551,594)		(1,551,594)
დივიდენდი					-
მთლიანი სრული შემოსავალი				4,445,195	4,445,195
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		1,607,621	7,368,458	(2,858,871)	6,117,208

მალხაზ კვარაცხელია

დირექტორი _____

ნუნუ მესხი

ბუღალტერი _____

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
წლის მოგება (ზარალი)	4,445,195	(1,518,591)
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,358,338	1,395,150
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	31,449	34,464
არამატერიალური აქტივის გასვლით მიღებული ამონაგები/ზარალი		
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული აქტივის გასვლით მიღებული ამონაგები/ზარალი		
ანარიცხი საეჭვო მოთხოვნებისთვის	150,828	1,493,545
საპროცენტო ხარჯი	224,777	328,720
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა), წმინდა	255,936	(1,327,107)
დამფუძნებელთა მიმართ არსებული მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		
დღგ-ს მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		
დღგ-ს ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(960,809)	(848,696)
მიმდინარე ავანსების ზრდა (შემცირება)		(106,390)
კლიენტებისგან მიღებული ავანსების ზრდა (შემცირება)	274	98,158
მარაგების შემცირება (ზრდა)	(18,912)	10,469
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(842,919)	541,826
სხვა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(2,579,940)	1,307,823
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	2,064,217	1,409,371
გადახდილი პროცენტი	(424,353)	(339,636)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,639,864	1,069,735
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,274,606)	(1,069,501)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(933)	(1,366)
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული შემოსულობა		
სატრანსპორტო საშუალებების გასვლით მიღებული შემოსულობა		
გრძელვადიანი აქტივებისთვის მიღებული ავანსების ზრდა	253,650	(123,241)
არამატერიალური აქტივის გასვლით მიღებული შემოსულობა		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,021,889)	(1,194,108)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის გამოშვებით მიღებული შემოსულობა	(188,200)	13
სესხების წმინდა ზრდა (დაფარვა)	(348,175)	95,421
ფინანსური იჯარის ვალდებულების წმინდა ზრდა (დაფარვა)	(38,104)	(100,918)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(574,479)	(5,484)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა /(კლება)	43,496	(129,857)

მომზადებულია ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში

წლის დასაწყისში	395,147	525,004
(კლება)/ზრდა	43,496	(129,857)
წლის ბოლოს	438,643	395,147

მალხაზ კვარაცხელია

დირექტორი _____

ნუნუ მესხი

ბუღალტერი _____

შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	14-15
2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება და მომზადების საფუძვლები	15-22
3	მნიშვნელოვანი მსჯელობა და შეფასებების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები	22
4	შემოსავალი	22-23
5	გაყიდვების თვითღირებულება	23
6	სხვა საოპერაციო შემოსავალი	23
7	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
8	ფინანსური ხარჯები, წმინდა	24
9	სხვა საოპერაციო ხარჯები	24
10	ძირითადი საშუალებები	25-26
11	არამატერიალური აქტივები	27
12	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	28
13	მარაგები	28
14	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28-29
15	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29
16	სააქციო კაპიტალი	29-31
17	სესხები	31-32
18	ფინანსური იჯარის ვალდებულება	32
19	დღგ-ს ვალდებულება	32-33
20	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33-34
21	სხვა საგადასახადო ვალდებულებები	34
22	პირობითი ვალდებულებები	34-36
23	ფინანსური ინსტრუმენტები – რისკის მართვა	36-39
24	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	39-40
25	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	40
26	ბიზნეს გარემო	40-41
27	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	41

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სტერეო + (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2002 წლის 19 ივნისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ალექსიძის ქ. 1. თავდაპირველად შეიქმნა მესაკუთრეთა შემდეგი სტრუქტურა:

- დავით ზილფიმიანი - 68%
- მარკო კუპოლეთი - 10%
- ზურაბ ჭელიძე - 11%
- ვახტანგ ჭკუასელი - 11%

2014 წელს განხორციელდა კომპანიის მესაკუთრეთა ცვლილება და მესაკუთრეებად განისაზღვრნენ შემდეგი პირები : ლუკა სევერინი - 50% და გიორგი ხითარიშვილი - 50% . 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით მესაკუთრეებად განისაზღვრნენ : დავით ზილფიმიანი - 50% და ლუკა სევერინი - 50%, ხოლო 2016 წელს განხორციელებული ცვლილებებით მესაკუთრეებად განისაზღვრნენ შემდეგი პირები : დავით ზილფიმიანი - 50%, ლაშა ზილფიმიანი - 15%, რობერტ ხახალევი - 25%, ლუკა სევერინი - 10%.

2022 წლის თებერვალში განხორციელდა კომპანიის მესაკუთრეთა ცვლილება და მესაკუთრეებად განისაზღვრნენ შემდეგი პირები: დავით ზილფიმიანი - 50%, ლაშა ზილფიმიანი - 25%, რობერტ ხახალევი - 25%, ხოლო 2022 წლის 27 ივნისს კვლავ მოხდა საკუთრების ცვლილება, შედეგად კომპანიის მესაკუთრეთა წილებია: დავით ზილფიმიანი 50%, რობერტ ხახალევი 25%, ელენა ხახალევა 15% და ლაშა ზილფიმიანი 10%.

2011 წლიდან კომპანია ფლობს შპს ომეგას 100%, რომელიც ფლობს ლიცენზიას ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად მანგლისში. შპს ომეგას აქვს სატელევიზიო არხი სახელწოდებით ომეგა TV.

კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები შპს ომეგა და შპს დი + საქმიანობენ მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში. სტერეო+ ფლობს სამაუწყებლო ლიცენზიას, რადიოსიხშირული სპექტრით საქმიანობის ლიცენზიებს და ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებს, ასევე კომპანია უზრუნველყოფს MUX-B-ში არსებული არხების სატელიტზე გავრცელებას.

ქენევის შეთანხმების ფარგლებში (GE-06), რომელსაც ხელი მოეწერა 2016 წელს, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არის საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირის (ITU) წევრი ქვეყნების საერთაშორისო ვალდებულება, რომელთა შორის არის საქართველოც. რეგიონისთვის (მათ შორის საქართველოს ევროპასთან , აფრიკასთან და აზიის დიდ ნაწილთან ერთად) 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა როგორც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თარიღის შემდეგ, ანალოგიური TV სიგნალები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში, აღარ იქნება დაცული მეზობელი ქვეყნების ჩარევისგან. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიმართულება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის 363\1 გადაწყვეტილებით კომპანია გამოცხადდა კონკურსის გამარჯვებულად და მიენიჭა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის

უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის MUX-B, MUX-E და MUX-D ლიცენზიები. აქედან MUX-B, MUX-E ლიცენზიები განკუთვნილი იყო ეროვნულ დონეზე ღია ეთერით, მომხმარებლებისათვის უფასოდ სამაუწყებლო სიგნალის გასავრცელებლად, MUX-D ლიცენზია მომხმარებლებისათვის ფასიანი სამაუწყებლო სიგნალის მისაწოდებლად.

კომპანიამ, საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურითა და შესაბამისი გამოცდილებით, 2015 წელს დაასრულა ქვეყნის გადაყვანა ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე. გადართვის პროცესი დაიწყო 2015 წლის 17 ივნისს და დასრულდა 2015 წლის 1 სექტემბრამდე. კომპანიამ შეასრულა იმ ეტაპზე არსებული ვალდებულებები და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა განხორციელდა კომისიის მიერ დადგენილი განრიგითა და პირობებით, რომლის შესრულება დაასტურა თავად კომისიამ თავისი გადაწყვეტილებით. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც ანალოგური მაუწყებლობიდან გადავიდა ციფრულ მაუწყებლობაზე.

2016 წლის 11 მარტიდან კომპანია ფლობს შპს დი+ 100% წილს კომპანია საქმიანობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

შპს დი+ს გადაეცა MUX-D ლიცენზია, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს პროექტებს DIGITAL TV, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლის მაისში. DIGITAL TV არის ციფრული მაუწყებლობის ოპერატორი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სატელევიზიო არხების პაკეტს საქართველოს ყველა რეგიონში. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ფასიან პაკეტს სახელწოდებით „DIGITAL TV“ რომელიც აერთიანებს დაახლოებით 41 მაღალი რეიტინგის არხს, ამასთანავე მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ ღია ეთერით გავრცელებული ქართული არხებიც. TV არხების პაკეტის ყოველთვიური ღირებულება, იჯარის გარეშე, შედგენს 6 და 14 ლარს. კომპანია უზრუნველყოფს მრავალფეროვანი TV არხების მაღალი ხარისხის ვიდეო ტრანსლაციას სატელიტური თევზის და ინტერნეტ წვდომის გარეშე. სიგნალის მისაღებად მომხმარებელს სჭირდება მხოლოდ მიმღები მოწყობილობა და დეციმეტრული ანტენა.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს), რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. ისინი წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში, ლარში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები 1 -ჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მსჯელობა ფუნქციონირებადობის შეფასებასთან მიმართებაში ემყარება კომპანიის მიერ 2021 წლის 12 იანვარს სს საქართველოს ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული თანხით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სს თიბისი ბანკის სასესხო ვალდებულებების 96 პროცენტის დაფარვას. აღნიშნული ოპერაციის განხორციელების შედეგად კომპანიის მიმდინარე ვალდებულება შემცირდა იმგვარად, რომ მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებებს თანამფარდობამ შეადგინა 1:1. კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მსჯელობა ემყარება ასევე დებიტორული დავალიანების ლიკვიდურობის შეფასებას. კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ვადაგასული სავაჭრო მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების იდენტიფიცირებას და მისი ანაზღაურებადი ღირებულის შეფასებას ინდივიდუალურად თითოეულ მოთხოვნასთან მიმართებაში. 2021 წლის ბოლოსთვის საექვო/ჩამოწერილი მოთხოვნების ოდენობამ ჯამში შეადგინა 408 893 ლარი (იხ. შენიშვნა 7). ხელმძღვანელობას აქვს მოლოდინი, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიას ფინანსურად დაეხმარება კომპანიის 25%

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

წილის მფლობელი პარტნიორი - რობერტ ხახალევი. აღსანიშნავია, რომ კომპანიას 2021 წლის 07 ოქტომბერს სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული აქვს საგადასახადო შეთანხმება საგადასახადო ვალდებულების შემცირების შესახებ, კერძოდ, შემცირებულმა საგადასახადო დავალიანების თანხამ შეადგინა 4,065,642 ლარი ,ხოლო გადასახდელი საგადასახადო დავალიანება „ სხვა ჯარიმის სახით“ განისაზღვრა 500 000 ლარის ოდენობით, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილ იქნა საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში .

კომპანია სტერეო+ მის შვილობილ კომპანიასთან, შპს დი+ -თან ერთად (შემდგომში, „ჯგუფი“) უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობას, გადაცემის მომსახურებას, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნასა და მხარდაჭერას, ციფრულ მაუწყებლობას. სამაუწყებლო სფეროებში არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები, რომელიც არსებითად ექვის ქვეშ დააყენებს კომპანიის უნარს განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სტერეო +

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2021	2020
		ლარი	ლარი
აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,291,239	11,728,096
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		108,831	92,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა		3,498,620	4,323,373
მოთხოვნები აქციონერების მიმართ		-	1,556,385
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		94,678	1,208
ავანსები		133,066	129,050
სულ მიმდინარე აქტივები		3,835,195	6,102,882
სულ აქტივები		15,126,434	17,830,978
კაპიტალი და ვალდებულებები			
სულ კაპიტალი		9,808,176	7,473,277
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,299,099	3,241,283
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		492,591	3,146,218
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	14,019
დღგ-ს ვალდებულება		61,340	558,067
მიღებული ავანსები		26,345	42,392
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,353,072	3,247,956
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		85,810	107,766
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,019,159	7,116,418
სულ ვალდებულებები		5,318,258	10,357,701
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,126,434	17,830,978

კონსოლიდაცია

შვილობილ კომპანიებს აკონტროლებს მშობელი კომპანია. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს კომპანიისა და მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. ყველა ჯგუფთაშორის გადარიცხვა, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს.

უცხოური ვალუტების კონვერტაცია

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის თარიღისთვის არსებული კურსის გამოყენებით. ფულადი ერთეულები უცხოური ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის კონვერტირებულია 31 დეკემბერს არსებული კურსის გამოყენებით. ანგარიშსწორებისას წარმოშობილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება იმდენად, რამდენადაც არის მოსალოდნელი რომ ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შემოსავალი შეიძლება საიმედოდ იყოს შეფასებული, მიუხედავად გადახდის განხორციელების თარიღისა. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან ბაჟის გამოკლებით. სამაუწყებლო და გადაცემის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც ჯგუფი გასწევს მომსახურებას. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება როდესაც საქონლის ფლობის არსებითად ყველა რისკი და ანაზღაურება გადაცემულია მყიდველზე, როგორც წესი საქონლის მიწოდებისას.

იჯარები

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასესხო ხარჯები

ყველა სასესხო ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი საგადასახადო მოგების რეფორმასთან დაკავშირებით (ასევე ცნობილია როგორც მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად მოქმედებს დაბეგვრის მომენტში, როდესაც ხდება დაბეგვრადი მოგების დივიდენდის სახით განაწილება. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის, რომელიც დაიწყო 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, საფინანსო ინსტიტუტების გარდა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელით მთავარი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება. ამასთან, რამდენიმე სხვა ტრანზაქცია მოიაზრება როგორც მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტად, მაგალითად არასაბაზრო გარიგება დაინტერესებულ მხარეებთან და/ან პირებთან, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისგან. ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯების ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბება.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, ფაქტიური გადახდის თარიღის მიუხედავად ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდები.

მესაკუთრის კაპიტალი, დამატებით გადახდილი კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც „მესაკუთრეთა კაპიტალი“ საკუთარ კაპიტალში. ნებისმიერი ოდენობა რომელიც მიღებულია მესაკუთრეებისგან ავტორიზებულ კაპიტალზე მეტი ოდენობით კლასიფიცირებულია როგორც „დამატებით განხორციელებული შენატანი „ საკუთარ კაპიტალში. დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ წელიწადში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონების ჩათვლით

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ყველა სხვა აქტივს ცვეთა ერიცხება, აქტივების თვითღირებულების (გამოკლებული მათი ნარჩენი ღირებულება) აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებზე განაწილების მიზნით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	5-20 %
სატრანსპორტო საშუალებები	10%
საოფისე აღჭურვილობა	3-15%
საიჯარო გაუმჯობესებები	7-20%

თუ არსებობს მინიშნება იმისა, რომ აქტივის ცვეთის განაკვეთი, სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება არსებითად შეიცვალა, მაშინ აღნიშნული აქტივის ცვეთა შესაბამისად გადაიხედება, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით.

აქტივის კომპანიიდან გასვლისას, სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ წმინდა შემოსულობებსა და გაყიდული ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში და შეტანილია „სხვა საოპერაციო შემოსავალში“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს და კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც მოცემულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ისინი ამორტიზირებულია მათი მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში (10 წელიწადი) წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების არსებითი ცვლილების რაიმე მინიშნება, ამორტიზაცია გადაიხედება ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება, არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმისა, რომ აღნიშნულმა აქტივებმა განიცადეს გაუფასურების ზარალი. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მინიშნება, მაშინ ფასდება აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენადი ღირებულება და შედარებულია მის საბალანსო ღირებულებასთან. თუ სავარაუდო აღდგენადი ღირებულება ნაკლებია, მაშინ საბალანსო ღირებულება შემცირებულია სავარაუდო აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი არაფინანსური აქტივისთვის (გუდვილის გარდა) შემდგომ აღდგება, მაშინ აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაზრდილია გადახდილ სავარაუდო აღდგენადი ღირებულებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ ოდენობისა, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული, თუ წინა წლებში ადგილი არ ექნებოდა აქტივისთვის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფისთვის) გაუფასურების ზარალის აღიარებას. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ყველა გაყიდვა ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებზე და მოთხოვნები არ არის პროცენტიანი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ოდენობები არ არის აღდგენადი. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების ხარჯების ჩათვლით). სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებზე და არ არის პროცენტის მატარებელი. პროცენტიანი ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები კოტირებულ აქციებში თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული შეთავაზების ფასით საანგარიშგებო თარიღისთვის.

ინვესტიციები არაკოტირებულ აქციებში ფასდება თვითღირებულებით, გამოკლეული გაუფასურება, რადგან მათი სამართლიანი ღირებულების სანდოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების რაიმე მინიშნება, მაშინ საბალანსო ღირებულება შემცირებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებით ოდენობამდე, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივისთვის თუ აღნიშნული გაიყიდებოდა საანგარიშგებო თარიღისთვის.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს (გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს ყველა დანახარჯს რომელიც გაწეულია მარაგების შესყიდვაზე, დამუშავებაზე და სხვა ხარჯებს რაც საჭიროა მარაგების მათ მიმდინარე ადგილმდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ანარიცხები

თუ საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფს წარსული მოვლენის შედეგად აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი დააკმაყოფილებს აღნიშნულ ვალდებულებას, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. ანარიცხები აღიარდება იმ ოდენობის საუკეთესო შეფასებებით, რომელიც აუცილებელია ვალდებულების დასაკმაყოფილებლად და დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადებამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის ღირებულებას დროში და ვალდებულების სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. ცვლილებები შეფასებებში აისახება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობის პერიოდში. რესტრუქტურისაციის ანარიცხები აღიარდება მხოლოდ მას შემდეგ რაც ფორმალური გეგმა შეტყობინებულია ყველა დაზარებული მხარისთვის.

3. მნიშვნელოვანი მსჯელობა და შეფასების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია მნიშვნელოვანი მსჯელობები. თუმცა, ხელმძღვანელობამ გააკეთა რამდენიმე ძირითადი დაშვება გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების აღდგენად ღირებულებასთან დაკავშირებით. უიმედო ვალები ჩამოიწერება მათი გამოვლენისას, იმ ოდენობით რა ოდენობითაც შესაძლებელია გაუფასურების და უიმედობის დადგენა თითოეული ერთეულისთვის ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, ტარდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება. უიმედო ვალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 1 441 629 ლარით შეფასდა (იხ. შენიშვნა 14).

4. შემოსავალი

2021 წელს, ჯგუფის შემოსავლის ძირითადი ნაწილი შედგებოდა მიწისზედა ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობის ანარიცხებიდან მიღული შემოსავლისაგან, რომელიც ჯგუფმა 2015 წლის ივნისიდან დაიწყო

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

4. შემოსავალი

	2021	2020
	ლარი	ლარი
ციფრული მომსახურება და „TV mobile“	10,343,749	9,334,546
სხვა შემოსავალი	171,367	13,717
	10,515,116	9,348,263

5 - გაყიდვების თვითღირებულება

	2021	2020
	ლარი	ლარი
მასალების ღირებულება	(316,951)	(182,639)
მომარაგების ხარჯები	(2,836,350)	(2,081,790)
სახელფასო ხარჯები	(1,343,141)	(1,472,636)
ცვთა და ამორტიზაცია	(1,353,632)	(1,297,235)
ქირა	(449,520)	(479,469)
კომუნიკაცია	(233,245)	(171,226)
კომუნალური ხარჯები	(471,491)	(302,503)
საწვავი	(225,937)	(185,333)
მივლინება	(45,568)	(143,080)
შეკეთება და ტექნიკური მხარდაჭერა	(49,980)	(37,415)
დაზღვევა	(10,450)	(11,477)
	(7,336,267)	(6,364,804)

6 - სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
	ლარი	ლარი
შემცირებული საგადასახადო ვალდებულებები	4,065,642	
საპროცენტო შემოსავალი	246,923	139,755
სხვა	4,312,565	139,755

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

7 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
	ლარი	ლარი
სახელფასო ხარჯები	(765,055)	(860,827)
ცვეთა და ამორტიზაცია	(36,155)	(30,960)
მომარაგების ხარჯები	(0)	0
სარეკლამო ხარჯები	(20,181)	(11,733)
ქირა	(189,460)	(123,825)
კომუნიკაცია	(27,747)	(23,687)
პროფესიული საკომისიო	-	-
მივლინების ხარჯი	-	-
დაზღვევა	(8,976)	(8,548)
კომუნალური ხარჯი	(21,177)	(13,538)
ბანკის საკომისიო	(10,114)	(13,267)
ტრანსპორტირება	(1,989)	(8,233)
შეკეთება და ტექნიკური მხარდაჭერა	(9,763)	(7,309)
საბაჟო მომსახურება		-
საექვო ვალების ანარიცხი	(408,893)	(1,493,545)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(86,226)	(113,748)
სხვა ხარჯები	(527,605)	(626,628)
	(2,113,341)	(3,335,849)

8 - ფინანსური ხარჯები, წმინდა

	2021	2020
	ლარი	ლარი
საპროცენტო ხარჯი	(224,777)	(328,720)
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული წმინდა ზარალი (ამონაგები)	407,318	(798,417)
	(572,590)	(572,590)

9 - სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
	ლარი	ლარი
ჯარიმები	(1,070,547)	(146,616)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი		
სხვა	(44,871)	(32,202)
	(1,115,418)	(446,435)

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	დასამონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება								
2017 წლის 1 იანვარს	72,206	9,688	6,987,334	76,503	233,125	114,597	-	7,493,453
შესყიდვები	-	3,145	730,101	83,022	39,059	227,720	-	1,083,047
გასვლები					(10,999)			(10,999)
2017 წლის 31 დეკემბერს	72,206	12,833	7,717,435	159,525	261,185	342,317	-	8,565,501
შესყიდვები	23,000	12,401	2,133,780	55,097	79,308	26,605		2,330,191
გასვლები					(32,289)			(32,289)
2018 წლის 31 დეკემბერს	95,206	25,234	9,851,215	214,622	308,204	368,922	-	10,863,402
შესყიდვები	2,200	4,500	1,866,372	69,229	217,556	20,859	6,074	2,186,790
გასვლები								-
2019 წლის 31 დეკემბერს	97,406	29,734	11,717,587	283,851	525,760	389,781	6,074	13,050,192
შესყიდვები		9,184	1,033,464	62,466		28,047		1,133,161
გასვლები					(136,743)		(4,798)	(141,541)
2020 წლის 31 დეკემბერს	97,406	38,918	12,751,050	346,317	389,017	417,828	1,276	14,041,812
შესყიდვები		4,939	1,050,948	15,455	304,036	32,728		1,408,107
გასვლები					(163,556)		(1,276)	(164,832)
2021 წლის 31 დეკემბერს	97,406	43,857	13,801,999	361,772	529,497	450,557	(0)	15,285,086
ცვეთა და გაუფასურება								
2017 წლის 1 იანვარს	-	(512)	(1,398,104)	(20,749)	(18,367)	(22,730)	-	(1,460,462)
წლის ცვეთა	-	(510)	(691,647)	(16,560)	(27,358)	(19,488)	-	(755,563)
გასვლები	-				3,575			3,575
2017 წლის 31 დეკემბერს	-	(1,022)	(2,089,751)	(37,309)	(42,150)	(42,218)	-	(2,212,450)
წლის ცვეთა		(751)	(870,811)	(25,047)	(30,601)	(28,263)		(955,473)
გასვლები					2,992			2,992
2018 წლის 31 დეკემბერს		(1,773)	(2,960,562)	(62,356)	(69,759)	(70,481)	-	(3,164,931)
წლის ცვეთა		(3,991)	(1,208,835)	(41,818)	(41,929)	(28,773)		(1,325,346)
გასვლები								-
2019 წლის 31 დეკემბერს		(5,764)	(4,169,397)	(104,174)	(111,688)	(99,254)	-	(4,490,277)
წლის ცვეთა	-	(2,394)	(1,166,045)	(42,909)	(48,231)	(34,037)		(1,293,616)
გასვლები	-				43,302			43,302
2020 წლის 31 დეკემბერს		(8,158)	(5,335,442)	(147,083)	(116,617)	(133,291)	-	(5,740,591)
წლის ცვეთა	-	(3,111)	(1,231,791)	(51,901)	(50,552)	(37,457)		(1,374,812)
გასვლები	-				16,356			16,356
2021 წლის 31 დეკემბერს		(11,269)	(6,567,234)	(198,984)	(150,813)	(170,748)	-	(7,099,047)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 1 იანვარს	72,206	9,176	5,589,229	55,754	214,758	91,867	-	6,032,990
2017 წლის 31 დეკემბერს	72,206	11,811	5,627,683	122,216	219,035	300,099	-	6,353,050
2018 წლის 31 დეკემბერს	95,206	23,461	6,890,652	152,266	238,445	298,441	-	7,698,471
2019 წლის 31 დეკემბერს	97,406	23,970	7,548,189	179,677	414,072	290,527	6,074	8,559,915
2020 წლის 31 დეკემბერს	97,406	30,760	7,415,608	199,234	272,400	284,537	1,276	8,301,221
2021 წლის 31 დეკემბერს	97,406	27,649	6,183,817	147,333	238,204	247,080	1,276	8,186,040

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ძირითადი საშუალებები გირავნობით არის დატვირთული სს თიბისი ბანკის სასარგებლოდ სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც დათარიღებულია 2015 წლის 2 აპრილით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 12 იანვარს კომპანიამ სს საქართველოს ბანკთან გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება და აღებული სესხის თანხით დაფარა სს თიბისი ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება, შესაბამისად კომპანიის ძირითადი საშუალებები გირავნობით დაიტვირთა სს საქართველოს ბანკის სასარგებლოდ(იხ. შენიშვნა 17).

2020 წელს შვილობილმა კომპანიამ შპს დი+-მა განახორციელა ზოგიერთი ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა, კერძოდ განახორციელა ვადის გაზრდა .

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

11. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სააღრიცხვო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
2017 წლის 1 იანვარს	187,940	109,140	297,080
შესყიდვები		19,080	19,080
გასვლები	(10,345)		(10,345)
2017 წლის 31 დეკემბერს	177,595	128,220	305,815
შესყიდვები		11,736	11,736
გასვლები			-
2018 წლის 31 დეკემბერს	177,595	139,956	317,551
შესყიდვები	9,340	32,379	41,719
გასვლები			-
2019 წლის 31 დეკემბერს	186,935	172,335	359,270
შესყიდვები		1,366	1,366
გასვლები			-
2020 წლის 31 დეკემბერს	186,935	173,701	360,636
შესყიდვები		932	932
გასვლები			-
2021 წლის 31 დეკემბერს	186,935	174,633	361,569
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვარს	(97,838)	(9,867)	(107,705)
წლის ცვეთა	(7,066)	(12,404)	(19,470)
გასვლები			
2017 წლის 31 დეკემბერს	(104,904)	(22,271)	(127,175)
წლის ცვეთა	(17,020)	(15,844)	(32,864)
გასვლები			
2018 წლის 31 დეკემბერს	(121,924)	(38,115)	(160,039)
წლის ცვეთა	(18,283)	(16,642)	(34,925)
გასვლები			
2019 წლის 31 დეკემბერს	(140,207)	(54,757)	(194,964)
წლის ცვეთა	(13,561)	(20,902)	(34,464)
გასვლები			
2020 წლის 31 დეკემბერს	(153,768)	(75,659)	(229,428)
წლის ცვეთა	(10,339)	(21,110)	(31,449)
გასვლები			
2021 წლის 31 დეკემბერს	(164,107)	(96,769)	(260,876)
2017 წლის 1 იანვარს	90,102	99,273	189,375
2017 წლის 31 დეკემბერს	72,691	105,949	178,640
2018 წლის 31 დეკემბერს	55,671	101,841	157,512
2019 წლის 31 დეკემბერს	46,728	117,578	164,306
2020 წლის 31 დეკემბერს	33,167	98,042	131,209
2021 წლის 31 დეკემბერს	22,828	77,864	100,692

12. ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის მოიცავს ავანსებს საბალანსო ღირებულებით 129 910 ლარი, რომელიც გადახდილია „JIANGSU YINHE DIGITAL TECHNOLOGY CO., LTD.“-სთვის.

13. მარაგები

	2021	2020
	ლარი	ლარი
საქონელი	51,080	50,379
სხვა ინვენტარი	75,854	57,643
	126,934	108,022

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო მარაგი მოიცავს საწვავის მარაგსა და იმ აქსესუარების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც გამოიყენება “TV Mobile” მომსახურების მისაწოდებლად და მიმღებებს („რესივერი“) და შვილობილი კომპანიის, „დი+“-ის მიერ ფლობილ სხვა აქსესუარებს. მარაგები არ ყოფილა დაგირავებული საბანკო სესხების და სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
	ლარი	ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	3,258,044	4,967,791
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	9,226	113,518
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	139,860	150,402
საექვო ვალების რეზერვები	(150,828)	(1,441,629)
სხვა მოთხოვნები	101,842	
	3,358,143	3,790,081

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ცვლილებები გაუფასურების ზარალის რეზერვში პერიოდის განმავლობაში:

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2021	2020
	ლარი	ლარი
ნაშთი 1 იანვარს	1,441,629	539,424
წლის ანარიცხი	150,828	1,299,706
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩამოწერილი ოდენობები	(1,441,629)	(397,501)
ნაშთი 31 დეკემბრის	150,828	1,441,629

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021	2020
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	4,554	52,225
საბანკო ნაშთები	434,089	342,922
	438,643	395,147

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის არსებითი სხვაობა არ არის.

16. სააქციო კაპიტალი

2002 წლის ივნისში, როდესაც კომპანია ოფიციალურად დაარსდა, მისმა დამფუძნებლებმა სააქციო კაპიტალში შეიტანეს 364 290 ლარი მათი საკუთრების წილის მიხედვით: დავით ზილფიმიანი - 247 720 ლარი, ზურაბ ჭელიძე - 40 070 ლარი, მარკო კუპოლეტი - 36 430 ლარი; ვახტანგ ჭკუასელი - 40 070 ლარი. 2014 წელს სააქციო კაპიტალი გაიზარდა 28 065 ლარით.

2016 წლის მაისში დამფუძნებელმა ლუკა სევერინიმ შპს სტერეო + -ის 15%-იანი წილი მიჰყიდა ლაშა ზილფიმიანს 200 000 აშშ დოლარად.

2016 წლის მაისში ლუკა სევერინიმ შპს სტერეო + -ის აქციების 25% მიჰყიდა რობერტ ხახალევს 400 000 აშშ დოლარად. ხელშეკრულების თანახმად მყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ შეიტანდა 600 000 აშშ დოლარს კომპანიის სააქციო კაპიტალში. ამრიგად, მაისში სააქციო კაპიტალი გაიზარდა 1 320 180 ლარით (600 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი). ხელშეკრულების თანახმად რობერტ ხახალევს არ ექნებოდა საწესდებო კაპიტალიდან თანხის გატანის უფლება 2023 წლის 1 იანვრამდე. 2016 წლის განმავლობაში რობერტ ხახალევმა განახორციელა 574 867 აშშ დოლარის (1 350 202 ლარის ეკვივალენტი) ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი საწესდებოკაპიტალში. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის 25 133 აშშ დოლარი (66 522 ლარის ეკვივალენტი) რჩება დამფუძნებელთა მიმართ არსებული მოთხოვნის დაუფარავი ნაშთის სახით.

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ცვლილებების შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბერს საკუთრება განაწილდა შემდეგნაირად: დავით ზილფიმიანი - 50%, ლაშა ზილფიმიანი - 15%, რობერტ ხახალევი - 25%, ლუკა სევერინი - 10%.

დამატებით გადახდილი კაპიტალი მოიცავს ჯგუფის მესაკუთრეების მიერ შეტანილ თანხებს, რომელიც აღემატება მესაკუთრის კაპიტალის ავტორიზებულ ოდენობას. ჯგუფის დამატებით გადახდილი კაპიტალი მოიცავს ჯგუფის მესაკუთრის, დავით ზილფიმიანისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანხას, რომელიც მას აპატიეს (16 124 ლარი 2015 წელს, 233 293 ლარი 2014 წელს და 111 242 ლარი 2013 წელს) და მესაკუთრეთა მიერ 2014 წლის ნოემბერში შეტანილი გადამცემი მოწყობილობის ღირებულებას (604 150 ლარი), რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ (შპს „აუდიტის ცენტრი“).

2017 წლის 20 იანვარს და 2017 წლის 19 მაისს დადებული პარტნიორთა გადაწყვეტილების აქტის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ რობერტ ხახალევმა აიღო ვალდებულება, გაეზარდა საწესდებო კაპიტალი ჯამური ოდენობით 2 000 000 აშშ დოლარი, რაც სრულად იქნა შესრულებული.

2018 წლის 29 ნოემბერს დადებული პარტნიორთა გადაწყვეტილების აქტის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ რობერტ ხახალევმა აიღო ვალდებულება, გაეზარდა საწესდებო კაპიტალი ჯამური ოდენობით 600 000 აშშ დოლარი, რაც აღიარდა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნა დამფუძნებელთა მიმართ. აუდიტის დასკვნის გამოშვების თარიღისთვის მესაკუთრე რობერტ ხახალევმა შეასრულა ვალდებულება და გაზარდა საწესდებო კაპიტალი 525 000 აშშ დოლარით.

2019 წლის 11 დეკემბერს დადებული პარტნიორთა გადაწყვეტილების აქტის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ რობერტ ხახალევმა აიღო ვალდებულება გაეზარდა საწესდებო კაპიტალი, ჯამური ოდენობით 400,000 აშშ დოლარი, რაც აღიარდა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნა დამფუძნებელთა მიმართ.

2021 წლის 26 ნოემბერს დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კაპიტალის შემცირების შესახებ, კერძოდ:

1) შეწყდა რობერტ ხახალევის მიერ შპს „სტერეო+“-ის 2019 წლის 11 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმით #11-ის თანახმად მის მიერ აღებული ვალდებულება შენატანის განხორციელების შესახებ და იგი აღარ არის ვალდებული განახორციელოს დარჩენილი თანხის ინვესტიცია კაპიტალის სახით 75000 აშშ დოლარის ოდენობით.

2) შეწყდა რობერტ ხახალევის მიერ შპს „სტერეო+“-ის 2018 წლის 29 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმით #7-ის თანახმად მის მიერ აღებული ვალდებულება შენატანის განხორციელების შესახებ და იგი აღარ არის ვალდებული განახორციელოს დარჩენილი თანხის ინვესტიცია კაპიტალის სახით 400 000 აშშ დოლარის ოდენობით.

3) კომპანიის კაპიტალი დამატებით შემცირდეს 188 200 ლარის ოდენობით, მისი პარტნიორის რობერტ ხახალევის მიერ კაპიტალის სახით განხორციელებული შენატანის გატანის გზით“. აღნიშნული თანხის გატანა განხორციელდა 2021 წლის 29 ნოემბერს.

2020 და 2021 წლებში არ გამოცხადებულა და განაწილებულა დივიდენდები.

შპს სტერეო+“-ის შვილობილი კომპანიის შპს დი+“-ის (400166262) საბუღალტრო ჩანაწერებში საჭირო გახდა 2019 და 2020 წლის ჩანაწერების კორექტირება, რაც განპირობებულ იქნა ბილინგის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზით,

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კერძოდ, ბილინგის სისტემამ არასწორად დააგენერირა რეკლამის მიზნით გაწეული უსასყიდლო მომსახურება (პრომო აქციის სახელწოდებით) და აქციის დამთავრების შემდეგ, აბონენტებისთვის გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული თანხები დატოვა იგივე სახელწოდების (პრომო აქციის) კატეგორიაში (ანუ უსასყიდლო მომსახურებაზე), რის გამოც 2019 და 2020 წლის საბუღალტრო ჩანაწერებში სავაჭრო მოთხოვნები შემცირებული, ხოლო „სხვა ხარჯები“ გაზრდილი ოდენობით იყო წარდგენილი. აღნიშნული შეცდომის კორექტირება განხორციელდა „გაუნაწილებელი მოგება /დაგროვილი ზარალი“ მუხლში.

17. სესხები

2021 წლის 31 დეკემბერს				2020	2021
გრძელვადიანი ნაწილი (ძირი თანხა)	დაფარვის ვადა	პროცენტი	ვალუტა	ლარი	ლარი
დავით ზილპიმიანი (სესხი 26.06.2012)		18%	ლარი	264,493	0
საქართველოს ბანკი			ევრო		2,299,099
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს				264,493	2,299,099
				2020	2021
მიმდინარე ნაწილი (ძირი თანხა და პროცენტი)	დაფარვის ვადა	პროცენტი	ვალუტა	ლარი	ლარი
თიბისი ბანკი (სესხი 02.04.2015)	25-მაისი-22	9% დამატებული EURIBOR .1%	ევრო	963,452	11,407
EBRD (სესხი 02.04.2015)	25-მაისი-22	9% დამატებული EURIBOR 0.1%	ევრო	1,894,536	21,900
თიბისი ბანკი (სესხი 29.09.2017)	28-იანვარი-18	9,1%	ევრო	80,396	0
საქართველოს ბანკი			ლარი		300,000
დავით ზილპიმიანი (სესხი 26.06.2012)			ლარი		153,431
საპროცენტო ვალდებულება			ლარი	205,849	5,853
სულ მიმდინარე ნაწილი				3,144,233	492,591
2020 წლის 31 დეკემბერს				3,408,726	2,791,690

2020 წლის 31 დეკემბერს შპს სტერეო+-სა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება. 2021 წლის 12 იანვარს კი გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 800 000 ევროზე გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება. სესხის მიზნობრიობა არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, სს თიბისი ბანკისა და სს თიბისი ლიზინგის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვა. სესხის ხელშეკრულებით ვალდებულების დაფარვის ბოლო ვადაა 2025 წლის 17 ივნისი. მსესხებელი გადაიხდის პროცენტს ძირითად თანხაზე წლიური - 6 თვიან LIBOR განაკვეთს დამატებული 6%, მაგრამ არანაკლებ 6%-ისა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2021 წლის 25 ოქტომბერს გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 500 000 ლარზე გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება. აუდიტის პროცესის დასრულების თარიღისთვის აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელმა სასესხო ვალდებულების ნაშთმა შეადგინა ნული ლარი.

18. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	2021	2020
	ლარი	ლარი
ფინანსური იჯარები: მინიმალური საიჯარო გადახდები		
1 წლის განმავლობაში	-	23,589
1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	-	29,486
სულ ვალდებულება	-	53,075
მომავალი ფინანსური დარიცხვები	-	14,970
ნაშთი 31 დეკემბერს	-	38,105
წარმოდგენილი როგორც მიმდინარე სესხები		14,019
წარმოდგენილი როგორც გრძელვადიანი სესხები		24,086
დაფარვის ვადით 1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა		
დაფარვის ვადით 5 წელზე მეტი		

2019 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ სს „თიბისი“ ბანკთან გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება # LA-88705) ფინანსური იჯარით მიიღო ავტომობილი ტოიოტა LC200, 2019 წლის მოდელი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 18.19%. მოიჯარეს გადაეცა საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ავალდებულებს აქტივის შესყიდვას, რომელიც აღსრულდება იჯარის ვადის ბოლოს და იჯარის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 20 დეკემბერი. 2020 წლის 27 აგვისტოს კომპანიის მიერ განხორციელდა ვალდებულების ნაწილის, 106 632 ლარის ოდენობით, წინსწრებით დაფარვა, ხოლო 2021 წლის 27 იანვარს დარჩენილი ვალდებულების სრულად წინსწრებით დაფარვა.

19. დღგ-ს ვალდებულება

2020 წლის 21 თებერვალს კომპანიამ წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს საგადასახადო დავალიანების შემცირებისა და ვალდებულების გადახდის გრაფიკისათვის საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. 2020 წლის 27 აპრილს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული აქვს საგადასახადო შეთანხმება საგადასახადო ვალდებულების აღიარებისა და აღიარებული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ვალდებულების (2 495 000 ლარის ოდენობით) 1825 კალენდარული დღის განმავლობაში 5-ჯერ თანაბარწილად გადახდის შესახებ ქვემოთ მითითებული გრაფიკის მიხედვით:

- 1) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 365 კალენდარულ დღეში;
- 2) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 730 კალენდარულ დღეში;
- 3) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 1095 კალენდარულ დღეში;
- 4) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 1460 კალენდარულ დღეში;
- 5) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 1825 კალენდარულ დღეში;

საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმების აქტი ითვლება გაუქმებულად, კომპანიას დაეკისრება ერთი მხრივ ჯარიმა გადაუხდელი თანხის 10 პროცენტი და მეორეს მხრივ გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაუყოვნებლივ დაფარვის ვალდებულება. ამასთან საგადასახადო შეთანხმება მიზნად ისახავს კომპანიის დავალიანების შემცირებას 956 705 ლარის ოდენობით ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების კომპანიის მიერ შესრულების შემთხვევაში.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის გადასახდელ დღგ-ს ნაწილში ასახული თანხის ოდენობა მოიცავს საგადასახადო შეთანხმებაში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებულ პირველ გადასახდელს 499 000 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულ საგადასახადო დავალიანებასთან და ასევე დამატებით დაკისრებულ სანქციებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N 1741 განკარგულების თანახმად, შპს სტერეო+-სა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირების თაობაზე. კერძოდ, შემცირებულმა საგადასახადო დავალიანების თანხამ შეადგინა 4,065,642 ლარი, ხოლო გადასახდელი საგადასახადო დავალიანება კი განისაზღვრა 500 000 ლარის ოდენობით, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილ იქნა საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	2,843,050	3,677,920
სახელფასო ვალდებულებები	19,805	26,043
სხვა ვალდებულებები და დარიცხვები	2,134	3,945
	2,864,989	3,707,907

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო ვალდებულებებში შევიდა 688 240 ლარის ოდენობით (2018: 519,802 ლარი) ვალდებულება შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრის“ მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს საოპერაციო

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მომსახურებას (მონიტორინგი, ჩართვა/გამორთვა, განთავსება-დამუშავება) ჯგუფის აღჭურვილობისთვის, რომელიც მდებარეობს თბილისის სატელევიზიო ანძაზე. ჯგუფს აქვს დავა შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრთან“, როგორც ეს განხილულია 22-ე შენიშვნაში.

საანგარიშგებო თარიღისთვის, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალნსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიანი ღირებულების შესაბამისად.

21. სხვა საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
	ლარი	ლარი
პირადი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	41,543	(212,165)
ქონების გადასახადი	64,391	30,587
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	72,299	2,939,685
	178,234	2,758,108

22. პირობითი ვალდებულებები

2012 წლის მაისში შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრმა გამართო კომპანიის მაუწყებლობა თბილისის სატელევიზიო ანძიდან. სანაცვლოდ კომპანიამ უარი განაცხადა 2012 წლის მომსახურების საფასურის გადახდაზე. 2014 წლის ოქტომბერში შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრმა სარჩელი შეიტანა კომპანიის წინამდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც ითხოვდა 2012 წლის მომსახურების საფასურის გადახდას, რაც შეადგენდა 153 788 ლარს. შემდგომში კომპანიამ შეიტანა შესაგებელი სარჩელი შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრის წინამდებარე ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მათ განიცადეს თბილისის სატელევიზიო ანძიდან გათიშვის გამო, რამაც შეადგინა 85 845 აშშ დოლარი.

შპს ტელერადიო ცენტრის სარჩელი დაკმაყოფილდა და კომპანიას დაეკისრა 216 425 ლრის გადახდა, რომელშიც შედიოდა 6 000 ლარი ჯარიმა, ხოლო კომპანიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა 2017 წლის 13 ნოემბერს.

კომპანიის იურისტების მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ვერ დაადგინა ზიანის მიყენების ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და

დამდგარ ზიანს შორის და არ დააკმაყოფილა შპს „სტერეო+“-ს მოთხოვნა. კომპანიას აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება აუდიტის პროცესის დასრულების თარიღისთვის ჩაბარებული არ აქვს. უზენაეს სასამართლოში შეტანილია ფორმალური საჩივარი, რომელსაც კომპანიის იურისტი დაასაბუთებს ხსენებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, რის საფუძველზეც კომპანიას აქვს მოლოდინი, რომ უზენაესი სასამართლო დააკმაყოფილებს საჩივარს.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-ს სარჩელი აქვს შეტანილი შპს „ტელეკომპანია I სტერეო“-ს წინააღმდეგ და მოითხოვს 370 183 ლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრებას მხარეთა შორის დადებული მულტიპლექს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო. აღნიშნული თანხა მოიცავს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი 6 თვიანი ვადის დარღვევის ჯარიმას და თანხის გადახდის გადაცილების გამო გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს.

2019 წლის 19 ივლისს პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება და შპს „სტერეო+“-ის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა 157 101 ლარის ფარგლებში. გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმისწარმოება ჯერ არ დასრულებულა. კომპანიის იურისტების მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ფონზე სააპელაციო სასამართლომ ძალაში უნდა დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „სტერეო+“-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 157 101 ლარის დაკისრების სახით.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-ს სარჩელი აქვს შეტანილი ააიპ სამოქალაქო განათლების ფონდის წინააღმდეგ და მოითხოვს თანხის დაკისრება 61177 ლარის ოდენობით.

მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული მხარეთა შორის 2014 წლის 27 ოქტომბერს დადებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, თუმცა მოპასუხე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. იურისტებს აქვთ საფუძვლიანი მოლოდინი, რომ ძალაში დარჩება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

მოსარჩელე შპს სტერეო+-მა 2021 წლის ივნისში დავა დაიწყო შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“-ს წინააღმდეგ. მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 397 500 ლარის გადახდასა და ხელშეკრულების პირობების დარღვევით ხელშეკრულების შეწყვეტისათვის 135 479 ლარის ჯარიმის სახით დაკისრებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მხოლოდ 22570 ლარის ფარგლებში. დავალიანების დარჩენილი თანხა არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო, ასევე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ჯარიმის დაკისრების ნაწილში. კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა შემდგომ ინსტანციაში და იგი შევიდა კანონიერ ძალაში. მხარეთა შეთანხმებით აღნიშნული თანხით განხორციელდა კომპანიებს შორის არსებული მოთხოვნისა და ვალდებულების გადაფარვა.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-მა 2021 წლის მაისში დავა დაიწყო შპს „იბერია ტვ“-ის წინააღმდეგ. მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 109 526 ლარისა და ეუტელსატის სატელიტის მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 43 637 ლარის გადახდას.

დავა მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში და მტკიცებულებებზე დაყრდნობით იურისტებს აქვთ მოლოდინი, რომ დავა დასრულდება შპს „სტერეო+“-ის სასარგებლოდ.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-მა 2021 წლის ნოემბერში დავა დაიწყო შპს „საფერავი ტვ“-ის წინააღმდეგ. მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 184 240 ლარის გადახდას.

დავა მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოპასუხე მხარეს დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია შესაგებელი. 2022 წლის 12 აპრილს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელე სტერეო+“-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შპს „სტერეო+“-ს შპს „ტელეკომპანია I სტერეო“-ს, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“-ის, შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“-ს, შპს „იბერია ტვ“-სა და შპს „საფერავი ტვ“-ის მიმართ არსებული მოთხოვნების მიმართ წინა წლებში შექმნილი აქვს საეჭვო ვალების ანარიცხი.

23. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება რისკებს რომლებიც წარმოიშობა მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. წინამდებარე შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებს და პროცესებს აღნიშნული რისკების სამართავად და მათ შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

კეთდება დაშვება, რომ ლიკვიდური ან მოკლე დაფარვის ვადის მქონე ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უახლოვდება.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკების დადგენაზე და ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას აღნიშნულზე, ხელმძღვანელობა ახდენს მიზნებისა და პოლიტიკების ეფექტურ დანერგვაზე პასუხისმგებელი პროცესების შემუშავების და დანერგვის უფლებამოსილების დელეგირებას კომპანიის ფინანსურ ფუნქციაზე.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკების დადგენა რომლებიც, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ამცირებენ რისკებს, კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე უარყოფითი გავლენის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ პოლიტიკებზე წარმოდგენილია ქვემოთ. მისი ოპერაციების შედეგად, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიდანაც ფინანსური ინსტრუმენტის რისკები წარმოიშვება, არის შემდეგი:

	2021	2020
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,218,283	3,639,679
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	438,643	395,147
სულ ფინანსური აქტივები	3,656,926	4,034,826
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	2,791,690	3,448,815
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,864,989	3,707,907
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,656,679	7,156,723

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია გასწევს ფინანსურ ზარალს თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო რისკს მისი საკრედიტო გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ როდესაც კონტრაჰენტები ფინანსური სირთულეების წინაშე დგანან და არ შეუძლიათ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების (დაუბრუნონ ფულადი სახსრები კომპანიას) დაკმაყოფილება. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები მისი მოთხოვნების ამოღებისას და შედეგად, ჰქონდეს არასაკმარისი ფულადი სახსრები მისი საქმიანობის სამართავად.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკსზე მაქსიმალურ დაქვემდებარებას. საანგარიშგებო თარიღისთვის, მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე იყო შემდეგი:

	2021	2020
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,218,283	3,639,679
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	438,643	395,147
მაქსიმალური საკრედიტო დაქვემდებარება	3,656,926	4,034,826

ის ფინანსური აქტივები, რომელთა გამო კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებულ მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვის შედეგად. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება მისი მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილება მათი ვადის დადგომისას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მდგომარეობაზე. წინდახედული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და შესაბამისი ოდენობით მოზიდული საკრედიტო ხაზების საშუალებით დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად მისი კაპიტალისა და სესხების საშუალებით ფინანსდება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდება. საბაზრო რისკი წარმოიშვება კომპანიის მხრიდან პროცენტის, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. აღნიშნული წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და უცხოური გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების გამო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად წარმოიშობება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებებიდან, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი (ცვალებადი ღირებულებით) უკავშირდება პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, ცვლადი განაკვეთის გამო. კომპანიის ყველა პროცენტიანი აქტივი და ვალდებულება ატარებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება. კომპანია დაქვემდებარებულია ძირითადი უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსების ცვალებადობის გავლენაზე მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის დაქვემდებარება უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის რისკზე წარმოდგენილია ქვემოთ:

	2021			2020		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	378,429	16,163	44,050	389,386	4,122	1,639
საგაჭრო მოთხოვნები	2,997,319	220,964		3,639,679		
სულ ფინანსური აქტივები	3,375,748	237,127	44,050	4,029,065		
ფინანსური ვალდებულებები						
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,320,761	415,634	1,128,594	3,707,907		
სულ ფინანსური ვალდებულებები	459,284		2,332,406	2,299,099	38,105	492,591
ღია საბალანსო პოზიცია	1,780,045	415,634	3,461,000	264,493		

24 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება იგივე პირობებით, რაც ეკვივალენტურია არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გარიგებების.

	2021	2020
	ლარი	ლარი
სესხები:		
მესაკუთრეები	-	2,304,952
	2020	2020

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ლარი	ლარი
წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება		
ხელფასები და მოკლევადიანი სარგებელი	289,750	182,500
მესაკუთრე: დავით ზილფიმიანი	-	292,500

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურებას შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 21 იანვარს გამართულ დამფუძნებელთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომპანიის კაპიტალის დამატებით 127,302 ლარის ოდენობით შემცირების თაობაზე, მისი პარტნიორის დავით ზილფიმიანის მიერ კაპიტალის სახით განხორციელებული შენატანის გატანის გზით, ხოლო დავით ზილფიმიანზე, როგორც 2021 წლამდე დაქირავებულ პირზე, გასულ წლებში 101,842 ლარის ოდენობის ავანსად გადახდილი ხელფასი და მასზე გადახდილი 25,460 ლარის ოდენობის საშემოსავლო გადასახადი ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე დაკვალიფიცირდა როგორც დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ამოღება.

26. ბიზნეს გარემო

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში-ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ახალი კორონავირუსით დაზარალებული ქვეყნების რაოდენობამ 190-ს გადააჭარბა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა.

ახალმა კორონავირუსმა (SARS-CoV-2) და მის მიერ გამოწვეულმა დაავადებამ (COVID-19) კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა, რადგან პანდემიამ ადამიანების დანაკარგთან ერთად უპრეცედენტო ეკონომიკური დანახარჯები გამოიწვია. „დიდმა ლოკდაუნმა“ (Gopinath, 2020), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სინქრონულად შეასუსტა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში, მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მოხმარება, განსაკუთრებით დააზიანა მომსახურების სექტორი, დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ბაზარს და საერთაშორისო ვაჭრობას. COVID-19-თან გამკლავება ყველა ქვეყნის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი გახდა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის.

პანდემიურმა კრიზისმა ყველაზე მეტად დააზარალა ტურისტული და სამშენებლო ინდუსტრია, მომსახურების სფეროს სექტორები, დიდი დარტყმა მიაყენა საერთაშორისო ვაჭრობას, არსებითად იკლო გლობალურმა მოთხოვნამ ქართულ პროდუქციაზე, COVID-19-ით პროვოცირებულმა კრიზისმა და მასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ არსებითად შეასუსტა უცხოელ ინვესტორთა ინტერესი განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკმაოდ მკვეთრ კლებაში გამოვლინდა. შედეგად, მასობრივად დაიკარგა სამუშაო ადგილები და დაიშრიტა შინამეურნეოების რეგულარული შემოსავლის წყაროები, რამაც სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდის რეალური საფრთხე წარმოქმნა.

საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია დამოკიდებულება უცხოეთიდან შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებზე, წარსულში ფულადი გზავნილები მიმღებ ქვეყნებში ანტიკრიზისულ როლს ასრულებდა. ამჯერად, როდესაც პანდემიამ თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი კრიზისის დამძიმების რისკფაქტორად იქცა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ 2022 წელი იქნება „COVID-19“-ის პანდემიის დასასრული. გამომდინარე იქიდან, რომ ორი წელი ამ ვითარებაში ვართ, საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს ვირუსს და ყველა ვაქცინის არსებული მარაგი საკმარისია იმისათვის, რომ 2022 წლის პირველი ნახევრისთვის მსოფლიო მოსახლეობის ზრდასრული ნაწილი სრულად აიცრას. ვირუსის გავრცელების და ახალი საშისი შტამების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სულ უფრო მეტი ადამიანის ვაქცინაცია. „თუ ჩვენ არ ავცრით მთელ მსოფლიოს, ვფიქრობ, პანდემიას ვერ დავასრულებთ“ - განაცხადა ჯანმომ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ბიზნესი შედარებით ნაკლებად დაზარალდა მსოფლიო პანდემიის პირობებში.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 04 ივლისს.

შპს სტერეო+ 204986408

2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია სტერეო+ დაარსდა 2002 წლის 19 ივნისს, საქართველოში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფისის რეგისტრირებული მისამართია: თბილისი, ალექსიძის ქ. 1, საქართველო. თავდაპირველად მისი საკუთრების სტრუქტურა იყო შემდეგი: დავით ზილფიმიანი – 68%, მარკო კოპულეტი – 10%, ზურაბ ჭელიძე – 11%, ვახტანგ ჭკუასელი – 11%

2014 წელს მოხდა კომპანიის საკუთრების ცვლილება და კომპანიის მესაკუთრეები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ ლუკა სევერინი 50% და გიორგი ხითარიშვილი 50%

2015 წელს მოხდა კომპანიის საკუთრების ცვლილება და კომპანიის მესაკუთრეები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ დავით ზილფიმიანი 50% და ლუკა სევერინი 50%

2016 წელს საკუთრების ცვლილების მოხდენის შედეგად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები იყვნენ დავით ზილფიმიანი 50%, ლაშა ზილფიმიანი 15%, რობერტ ხახალევი 25% და ლუკა სევერინი 10%.

2022 წლის თებერვალში საკუთრების ცვლილების შედეგად წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: დავით ზილფიმიანი 50%, ლაშა ზილფიმიანი 25%, რობერტ ხახალევი 25%. ხოლო 2022 წლის 27 ივნისს კვლავ მოხდა საკუთრების ცვლილება, შედეგად კომპანიის მესაკუთრეთა წილებია: დავით ზილფიმიანი 50%, რობერტ ხახალევი 25%, ელენა ხახალევა 15% და ლაშა ზილფიმიანი 10%.

2011 წლიდან კომპანია ფლობს შპს ომეგას 100% -იან წილს. შპს ომეგა არის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც არის ავტორიზებული პირი მაუწყებლობის სფეროში და ასევე ფლობს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ლიცენზიას მანგლისის რეგიონში. მას აქვს სატელევიზიო არხი „ომეგა ტვ“.

კომპანია უზრუნველყოფს ტელე მაუწყებლობას და თავის შვილობილებთან შპს ომეგას და შპს დი+სთან (ჯგუფი) ერთად ასევე უზრუნველყოფს, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურებას, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო არხების შექმნასა და შენარჩუნებას. 2021 წლამდე კომპანია უზრუნველყოფდა ტვ მობაილის სერვისით (ციფრული

ტელემაუწყებლობის მომსახურება ავტომობილებისათვის) მომსახურებას, რომელიც შეწყვიტა მისი არარენტაბელობის გამო. ჯგუფი ფლობს რამდენიმე ლიცენზიას ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურებაზე და ოპერირებს საკუთარი ტექნიკური აღჭურვილობით, ასევე გავლილი აქვს ავტორიზაცია მაუწყებლობის სფეროში.

ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენდა, რომელიც ჟენევის 2006 წლის GE06 ხელშეკრულების ფარგლებში საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენდა. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის შესაბამისადაც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები“. 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო ვადად, რაც ნიშნავს რომ ამ თარიღის შემდეგ ანალოგური მიწისზედა მაუწყებლობა საქართველოში აღარ იქნებოდა.

2014 წლის 10 ივლისს საქართველოს ეროვნული კომუნიკაციის კომისიამ (GNCC) გამოაცხადა კომპანია კონკურსში გამარჯვებულად და იგი გახდა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სიგნალით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სამი ლიცენზიის მფლობელი MUX-B, MUX-E და MUX-D. MUX-B და MUX-E ლიცენზიით კომპანიას აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ეროვნული მაუწყებლობის გავრცელება საქართველოს მასშტაბით ღია ეთერით უფასოდ, ხოლო MUX-D ლიცენზიით შესაძლებელია სიგნალის გავრცელება ფასიანი კრიპტო-კოდირებული ფორმით, ეგრეთწოდებული დამიფრული ფორმატით კომერციული მიზნებისთვის.

საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის და სატელევიზიო მაუწყებლობის გამოცდილების მქონე ჯგუფმა 2015 წელს დაასრულა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის აწყობა მთლიანი საქართველოს დასაფარად. გადართვის პროცესი დაიწყო 2015 წლის 17 ივნისს და დასრულდა 2015 წლის 1 სექტემბერს, GNCC-მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. კომისიამ დაადასტურა, რომ შპს სტერეო+ -მა შეასრულა დაკისრებული მოვალეობები. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც ანალოგური მაუწყებლობიდან გადავიდა ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე.

2016 წლის 11 მარტიდან კომპანია ფლობს შპს დი+ -ის 100% იან წილს, რომელიც არის დამოუკიდებელი სუბიექტი და ოპერირებს როგორც ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა.

შპს დი+ ახორციელებს „ციფრული ტელევიზიის“ პროექტს, რომელიც დაარსდა 2017 წლის მაისში. ციფრული ტელევიზია არის ციფრული მაუწყებლობის ოპერატორი, რომელიც მომხმარებელს საქართველოს ყველა რეგიონში სთავაზობს ტელე არხების პაკეტს. ქართული არხების უფასოდ მიწოდების გარდა, ციფრული ტელევიზია კლიენტებს სთავაზობს ფასიან პაკეტს „PAY TV“ რომელიც აერთიანებს დაახლოებით 41 მაღალრეიტინგულ არხს. ამ სატელევიზიო პაკეტის ღირებულებაა 6-დან 14 ლარამდე თვეში. კომპანია უზრუნველყოფს სხვა და სხვა არხის გავრცელებას მაღალი ხარისხით სატელიტური თეფშისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე. მომხმარებელმა, რომ მიიღოს სიგნალი სჭირდება მხოლოდ მოწყობილობა და დეციმეტრული ანტენა, რაც მას ხდის მომხმარებლისთვის მიმზიდველს და კონკურენტუნარიანს ბაზარზე.

2019 წლის განმავლობაში აბონენტთა რაოდენობის ზრდის შედეგად 116 პროცენტით გაიზარდა დი+-ის შემოსავლები 2018 წელთან შედარებით, 2020 წლის შემოსავლები 45 პროცენტით 2019 წელთან შედარებით, ხოლო 2021 წლის შემოსავლები 20 პროცენტით არის გაზრდილი 2020 წელთან შედარებით.

უმნიშვნელოდ, მაგრამ გაზრდილია (6%) 2021 წლის სტერეო+ შემოსავლები 2020 წელთან შედარებით.

ჯგუფი მუდმივად ატარებს საჭირო ღონისძიებებს აბონენტების ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები

1. ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
2. ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობა
3. მსოფლიო პანდემია
4. რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის ფაქტორი.

სტერეო+-ის სასესხო, კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე როგორც შვილობილი კომპანიის შპს დი+-ის საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტებშია, შემოსავალს კი იღებს ლარში. ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ უცხოური ვალუტებთან მიმართებაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან კომპანიების შესაძლებლობა, გაზარდოს მომსახურების ფასები-შეზღუდულია.

რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ტელევიზიებისთვის რეკლამის მიმწოდებელი სუბიექტების შემცირება და ტელევიზიები გახადონ გადახდისუუნარონი, რაც პირდაპირ აისახება შპს სტერეო+-ის შემოსავლებზე, ეს კი ზრდის კომპანიის ლიკვიდურობის რისკს.

პანდემიის გამო დაიხურა ბევრი ობიექტი, უმუშევარი დარჩა ბევრი სუბიექტი, რომელიც შპს დი+-ის ან იყო აბონენტი ან პოტენციურ აბონენტს წარმოადგენდა. მართალია დღეისთვის გაიხსნა და ამუშავდა გარკვეული ობიექტები, მაგრამ ბევრი ობიექტი გაკოტრდა კიდევ.

რუსეთის მიერ უკრაინასთან წარმოებული ომის გამო გატარდა მთელი რიგი ეკონომიკური თუ ფინანსური სანქციებისა, როგორც რუსეთის წინააღმდეგ, ასევე რუსეთის მხრიდანაც. ამ ყველაფერს დიდი გავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკური დონის მაჩვენებლებზე. გამონაკლისი არც საქართველოა, გაიზარდა ფასები და ინფლაციის მაჩვენებელი, რაც პირდაპირ მომხმარებლის ჯიბეზე აისახება და რაც იწვევს კომპანიების შემოსავლის წყაროების გაღარიბებას. თუმცა, ხელმძღვანელობის მსჯელობით, არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ ექვევს დადგეს ჯგუფის ფუნქციონირების უნარი.

კომპანიის ხელმძღვანელობა მცდელობას არ აკლებს განაახლოს ან შეცვალოს სამოქმედო პოლიტიკა ისე, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს ბაზარზე.

5. კორპორატიული მართვის ანგარიშგება

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, დამფუძნებელთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია ყოველივე ზემოაღნიშნულს ახორციელებს

1. თანასწორობის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა დამფუძნებლის თანაბარ შესაძლებლობას იყოს ჩართული და დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში არსებობს ქმედითი მექანიზმი.

2. დამფუძნებელთა შესაძლებლობით, დროულად მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.

3. ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფით. კომპანიის მართვა ხორციელდება მმართველი რგოლების პასუხისმგებლობის მაღალი დონით, უფლება-მოვალეობების მკაცრი გამიჯვნისა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.

4. კომპანიის დამფუძნებელთა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით.

5. თანამშრომელთა ჩართულობით კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

6. ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობით კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში.

კომპანიის მართვის ორგანოებია

დამფუძნებელ-პარტნიორთა საერთო კრება, მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც დამფუძნებლები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

კომპანიის დირექტორი კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ დადგენილი გადაწყვეტილებების აღსრულებას.

მალხაზ კვარაცხელია

შპს სტერეო+ დირექტორი



J. B. Audit

შპს სტერეო+

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის**

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-7
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11-12
განმარტებითი შენიშვნები	14-41

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შემდეგი ანგარიში, რომლის წაკითხვაც უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობებთან ერთად, შეიქმნა ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელ აუდიტორთა შესაბამისი პასუხისმგებლობების განსაზღვრის მიზნით, შპს სტერეო+-ის (შემდგომში, „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში, „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებს, კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს და კონსოლიდირებულ ცვლილებებს კაპიტალში აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის და პრინციპების შერჩევაზე და მათ თანმიმდევრულად გამოყენებაზე;
- გონივრული და წინდახედული მსჯელობებისა და შეფასებების გაკეთებაზე;
- განცხადებაზე, რომ დაცულია თუ არა მსს ფასს-ის მოთხოვნები და ყველა არსებითი საკითხი განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ; და
- ფუნქციონირებად საწარმოდ დაშვების პრინციპით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, გარდა შემთხვევებისა როდესაც არ არის მიზანშეწონილი ვარაუდი, რომ ჯგუფი განაგრძობს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და სანდო სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- სათანადო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და რომელიც საშუალებას მისცემს ხელმძღვანელობას უზრუნველყოს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-სთან შესაბამისობა.
- ჯგუფის საქმიანობის იურისდიქციაში მოქმედი, ადგილობრივი კანონმდებლობის და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ისეთი ზომების მიღებაზე, რომლებიც ხელმძღვანელობისთვის გონივრულად ხელმისაწვდომია; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და გამოვლენაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

მალხაზ კვარაცხელია

ნუნუ მესხი



დირექტორი:

ბუღალტერი:



აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. „ჯ. ბ. აუდიტი“
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.ibauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სტერეო+-ის პარტნიორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ მოვახდინეთ შპს „სტერეო+“-ის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის დამატებით გადახდილი კაპიტალი შეადგენს 604,150 ლარს, რომელიც წარმოადგენს 2014 წელს კომპანიის მესაკუთრეების მიერ კაპიტალში შეტანილი ქონების ღირებულებას. 2021 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფის ძირითადი საშუალებები მოიცავს 268 913 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ერთეულებს (2020: 309 274 ლარი). ამ ერთეულების თვითღირებულება განისაზღვრა 604,150 ლარის ოდენობით დამოუკიდებელი შეფასებით, რომელიც განახორციელა შპს „აუდიტის ცენტრმა“ 2014 წლის 26 ნოემბერს. ჩვენ არ დავკმაყოფილდით ვარაუდებით და ქონების შესაფასებლად გამოყენებული საფუძვლებით, შესაბამისად არ დავკმაყოფილდით ამ ერთეულების თვითღირებულებით და შესაბამისი დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი ზარალით.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშნვის თარიღს. კომპანიის საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 126 326 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ასევე, ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები, პირობითი მოსაზრებისთვის საკმარის და შესაბამის საფუძველს წარმოადგენს.

მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2-ე შენიშვნაში აღნიშნული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიგვანიშნებს რომ , რომ წინა წლებისგან განსხვავებით კომპანია ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსებს ვალდებულებების დასაფარავად. ლიკვიდურობის კუთხით არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ 2021 წლის იანვარში კომპანიის დაფინანსების კუთხით განხორციელებული ცვლილებით, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში მენეჯმენტი საუბრობს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებულ საგადასახადო შეთანხმების აქტზე, რომლის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიის საგადასახადო ვალდებულება. კომპანიის მიერ სრულად იქნა დაფარული აღნიშნული შემცირებული საგადასახადო ვალდებულება. ამასთან, კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირებადობის უნარის შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დებიტორული მოთხოვნების ლიკვიდურობაზე. მენეჯმენტი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიას ფინანსურად დაეხმარება კომპანიის 25% წილის მფლობელი პარტნიორი - რობერტ ხახალევი.

კომპანია სტერეო+ მის შვილობილ კომპანიასთან, შპს დი+ -თან ერთად (შემდგომში, „ჯგუფი“) უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობას, გადაცემის მომსახურებას, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნასა და მხარდაჭერას, ციფრულ მაუწყებლობას. სამაუწყებლო სფეროებში არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები, რომელიც არსებითად ეჭვის ქვეშ დააყენებს კომპანიის უნარს განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ „Chemexim International“-სა და კომპანიის აქციონერს, „დავით ზილფიმიანს“ შორის წარმოქმნილ დავაზე, რომელიც დაიწყო 2014 წლის 31 იანვარს. „Chemexim International“, როგორც მოსარჩელე მხარე, ედავებოდა დავით ზილფიმიანს, რომელმაც გასცა სესხი 252,000 ევროს და 14,000 აშშ დოლარის ოდენობით სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე და განახორციელა გადარიცხვა ბანკის მეშვეობით. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, თუმცა უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა იგი, რამაც გამოიწვია კომპანიაში დავით ზილფიმიანის წილის დაყადაღება და დაიწყო აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ხოლო აქციონერებმა და შპს „სტერეო +“ - მა მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ სამაუწყებლო კომპანიის აქციების საზოგადოებრივი აუქციონის წესით გაყიდვა დაუშვებლად გამოცხადდეს, რაც ეწინააღმდეგება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ გაყიდვის პროცედურებს.

2019 წლის 17 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა პარტნიორების სარჩელი. (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/6/1311). 2021 წლის 12 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების (საქმე №2/15922-21) თანახმად პარტნიორის დავით ზილფიმიანის წილზე მოიხსნა უფლებრივი შეზღუდვა ყადაღის სახით.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით და საჭიროების შემთხვევაში, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარმოადგინოს განგრძობითობასთან დაკავშირებული საკითხები და სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძვლები, გარდა შემთხვევებისა როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს რაიმე სხვა რეალური არჩევანი გარდა ზემოთ აღნიშნულისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არ არის გარანტია იმისა, რომ ასს-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მიჩნეული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ცალ-ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ნაწილის სახით, ჩვენი აუდიტის მსვლელობისას ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ, თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ ექმნით და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ გამოტოვებებს, არასწორ ასახვას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ვიაზრებთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემებს, გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვის მიზნით, მაგრამ არა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და ხელმძღვანელობის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთებულ ახსნა-განმარტებებს.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს აღრიცხვის პრინციპის გამოყენების შესაბამისობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების მიხედვით, ვაფასებთ არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში გავამახვილოთ ყურადღება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაკავშირებულ ახსნა-განმარტებებზე ან, თუ მსგავსი ახსნა-განმარტებები არ არის ადეკვატური, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ჯგუფმა ვერ გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, ახსნა-განმარტებების ჩათვლით და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებსა და მოვლენებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი სამართლიანი წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით საწარმოებისა და ბიზნეს საქმიანობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და მოსწრებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.
- სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობებთ აუდიტის დაგეგმილ

მასშტაბებსა და ვადებს და მნიშვნელოვან აუდიტორულ დასკვნებს, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის სისტემების ნებისმიერი არსებითი ნაკლოვანებების ჩათვლით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით და რამდენად თანხვედრილია საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებასთან მმართველობით ანგარიშში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ბესიკ ჯობავა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-230452).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

04 ივლისი 2022 წელი



შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2021	2020
	შენიშვნები		
შემოსავალი	4	10,515,116	9,348,263
გაყიდვების თვითღირებულება	5	(7,336,267)	(6,364,804)
საერთო მოგება		3,178,849	2,983,459
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	4,312,565	139,755
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,113,341)	(3,335,849)
ფინანსური ხარჯები	8	182,540	(1,127,137)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(1,115,418)	(178,818)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		1,266,346	(4,502,050)
მოგების გადასახადი			
მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში		4,445,195	(1,518,591)
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი):			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,445,195	(1,518,591)

მალხაზ კვარაცხელია

ნუნუ მესხი



დირექტორი

ბუღალტერი

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2021	2020
აქტივები	შენიშვნები		
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,186,040	8,301,221
არამატერიალური აქტივები	11	100,692	131,208
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	12	129,910	383,560
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,416,642	8,815,989
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	126,934	108,022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	14	3,225,077	3,645,744
მოთხოვნები დამფუძნებლთა მიმართ	16	-	1,363,406
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	438,643	395,147
გადახდილი ავანსები		163,653	150,402
სულ მიმდინარე აქტივები		3,954,308	5,662,721
სულ აქტივები		12,370,950	14,478,710
კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრის კაპიტალი	16	1,607,621	1,607,621
დამატებით გადახდილი კაპიტალი	16	7,368,458	8,920,064
დაგროვილი ზარალი		(2,858,871)	(7,343,170)
სულ კაპიტალი		6,117,208	3,184,515
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	2,299,099	264,493
ფინანსური იჯარის ვალდებულება	18	-	24,086
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,299,099	288,578
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	17	492,591	3,146,218
ფინანსური იჯარის ვალდებულება	18	-	14,019
დღგ-ს ვალდებულება	19	61,340	1,022,150
მიღებული ავანსები		357,489	357,215
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,864,989	3,707,907
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	21	178,234	2,758,108
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,954,643	11,005,617
სულ ვალდებულებები		6,253,742	11,294,195
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,370,950	14,478,710

მალხაზ კვარაცხელია

ნუნუ მესხი



დირექტორი

ბუღალტერი

[Handwritten signatures]

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	ცვლილება საწესდებო კაპიტალში	გაუნაწილებელი მოგება /(დაგროვილი ზარალი)	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,607,621	8,920,051	(5,881,126)	4,646,546

საწესდებო კაპიტალის ზრდა

16

კორექტირება

56,560

56,560

დამფუძნებელთა მიერ

განხორციელებული შენატანები

-

დივიდენდი

(1,518,591)

(1,518,591)

მთლიანი სრული შემოსავალი

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს

1,607,621

8,920,051

(7,343,157)

3,184,515

საწესდებო კაპიტალის ზრდა

16

კორექტირება

39,091

39,091

დამფუძნებელთა მიერ

განხორციელებული შენატანები

(1,551,594)

(1,551,594)

დივიდენდი

4,445,195

4,445,195

მთლიანი სრული შემოსავალი

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს

1,607,621

7,368,458

(2,858,871)

6,117,208

მალბაზ კვარაცხელია

ნუნუ მესხი



დირექტორი

ბუღალტერი

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
წლის მოგება (ზარალი)	4,445,195	(1,518,591)
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,358,338	1,395,150
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	31,449	34,464
არამატერიალური აქტივის გასვლით მიღებული ამონაგები/ზარალი		
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული აქტივის გასვლით მიღებული ამონაგები/ზარალი		
ანარიცხი საექვო მოთხოვნებისთვის	150,828	1,493,545
საპროცენტო ხარჯი	224,777	328,720
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა), წმინდა	255,936	(1,327,107)
დამფუძნებელთა მიმართ არსებული მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		
დღგ-ს მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		
დღგ-ს ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(960,809)	(848,696)
მიმდინარე ავანსების ზრდა (შემცირება)		(106,390)
კლიენტებისგან მიღებული ავანსების ზრდა (შემცირება)	274	98,158
მარაგების შემცირება (ზრდა)	(18,912)	10,469
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(842,919)	541,826
სხვა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(2,579,940)	1,307,823
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	2,064,217	1,409,371
გადახდილი პროცენტი	(424,353)	(339,636)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,639,864	1,069,735
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,274,606)	(1,069,501)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(933)	(1,366)
გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული შემოსულობა		
სატრანსპორტო საშუალებების გასვლით მიღებული შემოსულობა		
გრძელვადიანი აქტივებისთვის მიღებული ავანსების ზრდა	253,650	(123,241)
არამატერიალური აქტივის გასვლით მიღებული შემოსულობა		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,021,889)	(1,194,108)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის გამოშვებით მიღებული შემოსულობა	(188,200)	13
სესხების წმინდა ზრდა (დაფარვა)	(348,175)	95,421
ფინანსური იჯარის ვალდებულების წმინდა ზრდა (დაფარვა)	(38,104)	(100,918)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(574,479)	(5,484)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა / (კლება)	43,496	(129,857)

მოძრაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში

წლის დასაწყისში

(კლება)/ზრდა

წლის ბოლოს

395,147

525,004

43,496

(129,857)

438,643

395,147

მალბაზ კვარაცხელია

ნუნუ მესხი



დირექტორი

ბუღალტერი

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	14-15
2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება და მომზადების საფუძვლები	15-22
3	მნიშვნელოვანი მსჯელობა და შეფასებების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები	22
4	შემოსავალი	22-23
5	გაყიდვების თვითღირებულება	23
6	სხვა საოპერაციო შემოსავალი	23
7	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
8	ფინანსური ხარჯები, წმინდა	24
9	სხვა საოპერაციო ხარჯები	24
10	ძირითადი საშუალებები	25-26
11	არამატერიალური აქტივები	27
12	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	28
13	მარაგები	28
14	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28-29
15	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29
16	სააქციო კაპიტალი	29-31
17	სესხები	31-32
18	ფინანსური იჯარის ვალდებულება	32
19	დღგ-ს ვალდებულება	32-33
20	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33-34
21	სხვა საგადასახადო ვალდებულებები	34
22	პირობითი ვალდებულებები	34-36
23	ფინანსური ინსტრუმენტები – რისკის მართვა	36-39
24	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	39-40
25	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	40
26	ბიზნეს გარემო	40-41
27	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	41

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სტერეო + (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2002 წლის 19 ივნისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ალექსიძის ქ. 1. თავდაპირველად შეიქმნა მესაკუთრეთა შემდეგი სტრუქტურა:

- დავით ზილფიმიანი - 68%
- მარკო კუპოლეტი - 10%
- ზურაბ ჭელიძე - 11%
- ვახტანგ ჭკუასელი - 11%

2014 წელს განხორციელდა კომპანიის მესაკუთრეთა ცვლილება და მესაკუთრეებად განისაზღვრნენ შემდეგი პირები : ლუკა სევერინი - 50% და გიორგი ხითარიშვილი - 50% . 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით მესაკუთრეებად განისაზღვრნენ : დავით ზილფიმიანი - 50% და ლუკა სევერინი - 50%, ხოლო 2016 წელს განხორციელებული ცვლილებებით მესაკუთრეებად განისაზღვრნენ შემდეგი პირები : დავით ზილფიმიანი - 50%, ლაშა ზილფიმიანი - 15%, რობერტ ხახალევი - 25%, ლუკა სევერინი - 10%.

2022 წლის თებერვალში განხორციელდა კომპანიის მესაკუთრეთა ცვლილება და მესაკუთრეებად განისაზღვრნენ შემდეგი პირები: დავით ზილფიმიანი - 50%, ლაშა ზილფიმიანი - 25%, რობერტ ხახალევი - 25%, ხოლო 2022 წლის 27 ივნისს კვლავ მოხდა საკუთრების ცვლილება, შედეგად კომპანიის მესაკუთრეთა წილებია: დავით ზილფიმიანი 50%, რობერტ ხახალევი 25%, ელენა ხახალევა 15% და ლაშა ზილფიმიანი 10%.

2011 წლიდან კომპანია ფლობს შპს ომეგას 100%, რომელიც ფლობს ლიცენზიას ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად მანგლისში. შპს ომეგას აქვს სატელევიზიო არხი სახელწოდებით ომეგა TV.

კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები შპს ომეგა და შპს დი + საქმიანობენ მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში. სტერეო+ ფლობს სამაუწყებლო ლიცენზიას, რადიოსიხშირული სპექტრით საქმიანობის ლიცენზიებს და ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებს, ასევე კომპანია უზრუნველყოფს MUX-B-ში არსებული არხების სატელიტზე გავრცელებას.

ფინანსური შეთანხმების ფარგლებში (GE-06), რომელსაც ხელი მოეწერა 2016 წელს, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არის საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირის (ITU) წევრი ქვეყნების საერთაშორისო ვალდებულება, რომელთა შორის არის საქართველოც. რეგიონისთვის (მათ შორის საქართველოს ევროპასთან , აფრიკასთან და აზიის დიდ ნაწილთან ერთად) 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა როგორც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თარიღის შემდეგ, ანალოგიური TV სიგნალები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში, აღარ იქნება დაცული მეზობელი ქვეყნების ჩარევისგან. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიმართულება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 10 ივლისის 363\1 გადაწყვეტილებით კომპანია გამოცხადდა კონკურსის გამარჯვებულად და მიენიჭა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის MUX-B, MUX-E და MUX-D ლიცენზიები. აქედან MUX-B, MUX-E ლიცენზიები განკუთვნილი იყო ეროვნულ დონეზე ღია ეთერით, მომხმარებლებისათვის უფასოდ სამაუწყებლო სიგნალის გასავრცელებლად, MUX-D ლიცენზია მომხმარებლებისათვის ფასიანი სამაუწყებლო სიგნალის მისაწოდებლად.

კომპანიამ, საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურითა და შესაბამისი გამოცდილებით, 2015 წელს დაასრულა ქვეყნის გადაყვანა ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე. გადართვის პროცესი დაიწყო 2015 წლის 17 ივნისს და დასრულდა 2015 წლის 1 სექტემბრამდე. კომპანიამ შეასრულა იმ ეტაპზე არსებული ვალდებულებები და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა განხორციელდა კომისიის მიერ დადგენილი განრიგითა და პირობებით, რომლის შესრულება დაასტურა თავად კომისიამ თავისი გადაწყვეტილებით. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც ანალოგური მაუწყებლობიდან გადავიდა ციფრულ მაუწყებლობაზე.

2016 წლის 11 მარტიდან კომპანია ფლობს შპს დი+ 100% წილს კომპანია საქმიანობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

შპს დი+ს გადაეცა MUX-D ლიცენზია, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს პროექტებს DIGITAL TV, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლის მაისში. DIGITAL TV არის ციფრული მაუწყებლობის ოპერატორი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სატელევიზიო არხების პაკეტს საქართველოს ყველა რეგიონში. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ფასიან პაკეტს სახელწოდებით „DIGITAL TV“ რომელიც აერთიანებს დაახლოებით 41 მაღალი რეიტინგის არხს, ამასთანავე მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ ღია ეთერით გავრცელებული ქართული არხებიც. TV არხების პაკეტის ყოველთვიური ღირებულება, იჯარის გარეშე, შედგენს 6 და 14 ლარს. კომპანია უზრუნველყოფს მრავალფეროვანი TV არხების მაღალი ხარისხის ვიდეო ტრანსლაციას სატელეკომუნიკაციო თეფშის და ინტერნეტ წვდომის გარეშე. სიგნალის მისაღებად მომხმარებელს სჭირდება მხოლოდ მიმღები მოწყობილობა და დეციმეტრული ანტენა.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს), რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. ისინი წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში, ლარში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები 1 -ჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მსჯელობა ფუნქციონირებადობის შეფასებასთან მიმართებაში ემყარება კომპანიის მიერ 2021 წლის 12 იანვარს სს საქართველოს ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული თანხით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სს თიბისი ბანკის სასესხო ვალდებულებების 96 პროცენტის დაფარვას. აღნიშნული ოპერაციის განხორციელების შედეგად კომპანიის მიმდინარე ვალდებულება შემცირდა იმგვარად, რომ მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებებს თანამფარდობამ შეადგინა 1:1. კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მსჯელობა ემყარება ასევე დებიტორული დავალიანების ლიკვიდურობის შეფასებას. კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ვადაგასული სავაჭრო მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების იდენტიფიცირებას და მისი ანაზღაურებადი ღირებულის შეფასებას ინდივიდუალურად თითოეულ მოთხოვნასთან მიმართებაში. 2021 წლის ბოლოსთვის საექვო/ჩამოწერილი მოთხოვნების ოდენობამ ჯამში შეადგინა 408 893 ლარი (იხ. შენიშვნა 7). ხელმძღვანელობას აქვს მოლოდინი, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიას ფინანსურად დაეხმარება კომპანიის 25%

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

წილის მფლობელი პარტნიორი - რობერტ ხახალავი. აღსანიშნავია, რომ კომპანიას 2021 წლის 07 ოქტომბერს სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული აქვს საგადასახადო შეთანხმება საგადასახადო ვალდებულების შემცირების შესახებ, კერძოდ, შემცირებულმა საგადასახადო დავალიანების თანხამ შეადგინა 4,065,642 ლარი, ხოლო გადასახდელი საგადასახადო დავალიანება „სხვა ჯარიმის სახით“ განისაზღვრა 500 000 ლარის ოდენობით, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილ იქნა საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში.

კომპანია სტერეო+ მის შვილობილ კომპანიასთან, შპს დი+ -თან ერთად (შემდგომში, „ჯგუფი“) უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობას, გადაცემის მომსახურებას, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნასა და მხარდაჭერას, ციფრულ მაუწყებლობას. სამაუწყებლო სფეროებში არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები, რომელიც არსებითად ეჭვის ქვეშ დააყენებს კომპანიის უნარს განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სტერეო +

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2021	2020
	ლარი	ლარი
აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,291,239	11,728,096
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	108,831	92,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	3,498,620	4,323,373
მოთხოვნები აქციონერების მიმართ	-	1,556,385
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	94,678	1,208
ავანსები	133,066	129,050
სულ მიმდინარე აქტივები	3,835,195	6,102,882
სულ აქტივები	15,126,434	17,830,978
კაპიტალი და ვალდებულებები		
სულ კაპიტალი	9,808,176	7,473,277
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,299,099	3,241,283
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	492,591	3,146,218
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	14,019
დღგ-ს ვალდებულება	61,340	558,067
მიღებული ავანსები	26,345	42,392
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,353,072	3,247,956
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	85,810	107,766
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,019,159	7,116,418
სულ ვალდებულებები	5,318,258	10,357,701
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	15,126,434	17,830,978

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდაცია

შვილობილ კომპანიებს აკონტროლებს მშობელი კომპანია. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს კომპანიისა და მის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. ყველა ჯგუფთაშორისი გადარიცხვა, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს.

უცხოური ვალუტების კონვერტაცია

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის თარიღისთვის არსებული კურსის გამოყენებით. ფულადი ერთეულები უცხოური ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის კონვერტირებულია 31 დეკემბერს არსებული კურსის გამოყენებით. ანგარიშსწორებისას წარმოშობილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება იმდენად, რამდენადაც არის მოსალოდნელი რომ ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შემოსავალი შეიძლება საიმედოდ იყოს შეფასებული, მიუხედავად გადახდის განხორციელების თარიღისა. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან ბაჟის გამოკლებით. სამაუწყებლო და გადაცემის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც ჯგუფი გასწევს მომსახურებას. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება როდესაც საქონლის ფლობის არსებითად ყველა რისკი და ანაზღაურება გადაცემულია მყიდველზე, როგორც წესი საქონლის მიწოდებისას.

იჯარები

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასესხო ხარჯები

ყველა სასესხო ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი საგადასახადო მოგების რეფორმასთან დაკავშირებით (ასევე ცნობილია როგორც მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად მოქმედებს დაბეგვრის მომენტში, როდესაც ხდება დაბეგვრადი მოგების დივიდენდის სახით განაწილება. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის, რომელიც დაიწყო 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, საფინანსო ინსტიტუტების გარდა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელით მთავარი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება. ამასთან, რამდენიმე სხვა ტრანზაქცია მოიაზრება როგორც მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტად, მაგალითად არასაბაზრო გარიგება დაინტერესებულ მხარეებთან და/ან პირებთან, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისგან. ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯების ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბება.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, ფაქტიური გადახდის თარიღის მიუხედავად ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდები.

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მესაკუთრის კაპიტალი, დამატებით გადახდილი კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც „მესაკუთრეთა კაპიტალი“ საკუთარ კაპიტალში. ნებისმიერი ოდენობა რომელიც მიღებულია მესაკუთრეებისგან ავტორიზებულ კაპიტალზე მეტი ოდენობით კლასიფიცირებულია როგორც „დამატებით განხორციელებული შენატანი „ საკუთარ კაპიტალში. დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ წელიწადში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონების ჩათვლით

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ყველა სხვა აქტივს ცვეთა ერიცხება, აქტივების თვითღირებულების (გამოკლებული მათი ნარჩენი ღირებულება) აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებზე განაწილების მიზნით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	5-20 %
სატრანსპორტო საშუალებები	10%
საოფისე აღჭურვილობა	3-15%
საიჯარო გაუმჯობესებები	7-20%

თუ არსებობს მინიშნება იმისა, რომ აქტივის ცვეთის განაკვეთი, სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება არსებითად შეიცვალა, მაშინ აღნიშნული აქტივის ცვეთა შესაბამისად გადაიხედება, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით.

აქტივის კომპანიიდან გასვლისას, სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ წმინდა შემოსულობებსა და გაყიდული ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში და შეტანილია „სხვა საოპერაციო შემოსავალში“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს და კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც მოცემულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ისინი ამორტიზირებულია მათი მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში (10 წელიწადი) წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების არსებითი ცვლილების რაიმე მინიშნება, ამორტიზაცია გადაიხედება ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება, არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმისა, რომ აღნიშნულმა აქტივებმა განიცადეს გაუფასურების ზარალი. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მინიშნება, მაშინ ფასდება აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენადი ღირებულება და შედარებულია მის საბალანსო ღირებულებასთან. თუ სავარაუდო აღდგენადი ღირებულება ნაკლებია, მაშინ საბალანსო ღირებულება შემცირებულია სავარაუდო აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი არაფინანსური აქტივისთვის (გუდვილის გარდა) შემდგომ აღდგება, მაშინ აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაზრდილია გადახდილ სავარაუდო აღდგენადი ღირებულებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ ოდენობისა, რომელიც იქნებოდა განსაზღვრული, თუ წინა წლებში ადგილი არ ექნებოდა აქტივისთვის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფისთვის) გაუფასურების ზარალის აღიარებას. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ყველა გაყიდვა ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებზე და მოთხოვნები არ არის პროცენტიანი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ოდენობები არ არის აღდგენადი. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების ხარჯების ჩათვლით). სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებზე და არ არის პროცენტის მატარებელი. პროცენტიანი ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები კოტირებულ აქციებში თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული შეთავაზების ფასით საანგარიშგებო თარიღისთვის.

ინვესტიციები არაკოტირებულ აქციებში ფასდება თვითღირებულებით, გამოკლეული გაუფასურება, რადგან მათი სამართლიანი ღირებულების სანდოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების რაიმე მინიშნება, მაშინ საბალანსო ღირებულება შემცირებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებით ოდენობამდე, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივისთვის თუ აღნიშნული გაიყიდებოდა საანგარიშგებო თარიღისთვის.

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს (გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები) შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს ყველა დანახარჯს რომელიც გაწეულია მარაგების შესყიდვაზე, დამუშავებაზე და სხვა ხარჯებს რაც საჭიროა მარაგების მათ მიმდინარე ადგილმდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ანარიცხები

თუ საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფს წარსული მოვლენის შედეგად აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი დააკმაყოფილებს აღნიშნულ ვალდებულებას, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. ანარიცხები აღიარდება იმ ოდენობის საუკეთესო შეფასებებით, რომელიც აუცილებელია ვალდებულების დასაკმაყოფილებლად და დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადებამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის ღირებულებას დროში და ვალდებულების სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. ცვლილებები შეფასებებში აისახება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობის პერიოდში. რესტრუქტურისაციის ანარიცხები აღიარდება მხოლოდ მას შემდეგ რაც ფორმალური გეგმა შეტყობინებულია ყველა დაზარებული მხარისთვის.

3. მნიშვნელოვანი მსჯელობა და შეფასების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია მნიშვნელოვანი მსჯელობები. თუმცა, ხელმძღვანელობამ გააკეთა რამდენიმე ძირითადი დაშვება გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების აღდგენად ღირებულებასთან დაკავშირებით. უიმედო ვალები ჩამოიწერება მათი გამოვლენისას, იმ ოდენობით რა ოდენობითაც შესაძლებელია გაუფასურების და უიმედობის დადგენა თითოეული ერთეულისთვის ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, ტარდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება. უიმედო ვალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 1 441 629 ლარით შეფასდა (იხ. შენიშვნა 14).

4. შემოსავალი

2021 წელს, ჯგუფის შემოსავლის ძირითადი ნაწილი შედგებოდა მიწისზედა ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობის ანარიცხებიდან მიღული შემოსავლისაგან, რომელიც ჯგუფმა 2015 წლის ივნისიდან დაიწყო

4. შემოსავალი

	2021	2020
	ლარი	ლარი
ციფრული მომსახურება და „TV mobile“	10,343,749	9,334,546
სხვა შემოსავალი	171,367	13,717
	10,515,116	9,348,263

5 - გაყიდვების თვითღირებულება

	2021	2020
	ლარი	ლარი
მასალების ღირებულება	(316,951)	(182,639)
მომარაგების ხარჯები	(2,836,350)	(2,081,790)
სახელფასო ხარჯები	(1,343,141)	(1,472,636)
ცვთა და ამორტიზაცია	(1,353,632)	(1,297,235)
ქირა	(449,520)	(479,469)
კომუნიკაცია	(233,245)	(171,226)
კომუნალური ხარჯები	(471,491)	(302,503)
საწვავი	(225,937)	(185,333)
მივლინება	(45,568)	(143,080)
შეკეთება და ტექნიკური მხარდაჭერა	(49,980)	(37,415)
დაზღვევა	(10,450)	(11,477)
	(7,336,267)	(6,364,804)

6 - სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
	ლარი	ლარი
შემცირებული საგადასახადო ვალდებულებები	4,065,642	
საპროცენტო შემოსავალი		
სხვა	246,923	139,755
	4,312,565	139,755

7 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

სახელფასო ხარჯები

ცვეთა და ამორტიზაცია

მომარაგების ხარჯები

სარეკლამო ხარჯები

ქირა

კომუნიკაცია

პროფესიული საკომისიო

მივლინების ხარჯი

დაზღვევა

კომუნალური ხარჯი

ბანკის საკომისიო

ტრანსპორტირება

შეკეთება და ტექნიკური მხარდაჭერა

საბაჟო მომსახურება

საექვო ვალების ანარიცხი

სხვა საგადასახადო ხარჯები

სხვა ხარჯები

2021	2020
ლარი	ლარი
(765,055)	(860,827)
(36,155)	(30,960)
(0)	0
(20,181)	(11,733)
(189,460)	(123,825)
(27,747)	(23,687)
-	-
-	-
(8,976)	(8,548)
(21,177)	(13,538)
(10,114)	(13,267)
(1,989)	(8,233)
(9,763)	(7,309)
	-
(408,893)	(1,493,545)
(86,226)	(113,748)
(527,605)	(626,628)
(2,113,341)	(3,335,849)

8 - ფინანსური ხარჯები, წმინდა

საპროცენტო ხარჯი

უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული წმინდა ზარალი (ამონაგები)

2021	2020
ლარი	ლარი
(224,777)	(328,720)
407,318	(798,417)
(572,590)	(572,590)

9 - სხვა საოპერაციო ხარჯები

ჯარიმები

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი

სხვა

2021	2020
ლარი	ლარი
(1,070,547)	(146,616)
(44,871)	(32,202)
(1,115,418)	(446,435)

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	დასამონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება								
2017 წლის 1 იანვარს	72,206	9,688	6,987,334	76,503	233,125	114,597	-	7,493,453
შესყიდვები	-	3,145	730,101	83,022	39,059	227,720	-	1,083,047
გასვლები					(10,999)			(10,999)
2017 წლის 31 დეკემბერს	72,206	12,833	7,717,435	159,525	261,185	342,317	-	8,565,501
შესყიდვები	23,000	12,401	2,133,780	55,097	79,308	26,605		2,330,191
გასვლები					(32,289)			(32,289)
2018 წლის 31 დეკემბერს	95,206	25,234	9,851,215	214,622	308,204	368,922	-	10,863,402
შესყიდვები	2,200	4,500	1,866,372	69,229	217,556	20,859	6,074	2,186,790
გასვლები								-
2019 წლის 31 დეკემბერს	97,406	29,734	11,717,587	283,851	525,760	389,781	6,074	13,050,192
შესყიდვები		9,184	1,033,464	62,466		28,047		1,133,161
გასვლები					(136,743)		(4,798)	(141,541)
2020 წლის 31 დეკემბერს	97,406	38,918	12,751,050	346,317	389,017	417,828	1,276	14,041,812
შესყიდვები		4,939	1,050,948	15,455	304,036	32,728		1,408,107
გასვლები					(163,556)		(1,276)	(164,832)
2021 წლის 31 დეკემბერს	97,406	43,857	13,801,999	361,772	529,497	450,557	(0)	15,285,086
ცვლილება და გაუმჯობესება								
2017 წლის 1 იანვარს	-	(512)	(1,398,104)	(20,749)	(18,367)	(22,730)	-	(1,460,462)
წლის ცვლილება	-	(510)	(691,647)	(16,560)	(27,358)	(19,488)	-	(755,563)
გასვლები	-				3,575			3,575
2017 წლის 31 დეკემბერს	-	(1,022)	(2,089,751)	(37,309)	(42,150)	(42,218)	-	(2,212,450)
წლის ცვლილება		(751)	(870,811)	(25,047)	(30,601)	(28,263)		(955,473)
გასვლები					2,992			2,992
2018 წლის 31 დეკემბერს		(1,773)	(2,960,562)	(62,356)	(69,759)	(70,481)	-	(3,164,931)
წლის ცვლილება		(3,991)	(1,208,835)	(41,818)	(41,929)	(28,773)		(1,325,346)
გასვლები								-
2019 წლის 31 დეკემბერს		(5,764)	(4,169,397)	(104,174)	(111,688)	(99,254)	-	(4,490,277)
წლის ცვლილება	-	(2,394)	(1,166,045)	(42,909)	(48,231)	(34,037)		(1,293,616)
გასვლები	-				43,302			43,302
2020 წლის 31 დეკემბერს		(8,158)	(5,335,442)	(147,083)	(116,617)	(133,291)	-	(5,740,591)
წლის ცვლილება	-	(3,111)	(1,231,791)	(51,901)	(50,552)	(37,457)		(1,374,812)
გასვლები	-				16,356			16,356
2021 წლის 31 დეკემბერს		(11,269)	(6,567,234)	(198,984)	(150,813)	(170,748)	-	(7,099,047)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 1 იანვარს	72,206	9,176	5,589,229	55,754	214,758	91,867	-	6,032,990
2017 წლის 31 დეკემბერს	72,206	11,811	5,627,683	122,216	219,035	300,099	-	6,363,050
2018 წლის 31 დეკემბერს	95,206	23,461	6,890,652	152,266	238,445	298,441	-	7,698,471
2019 წლის 31 დეკემბერს	97,406	23,970	7,548,189	179,677	414,072	290,527	6,074	8,559,915
2020 წლის 31 დეკემბერს	97,406	30,760	7,415,608	199,234	272,400	284,537	1,276	8,301,221
2021 წლის 31 დეკემბერს	97,406	27,649	6,183,817	147,333	238,204	247,080	1,276	8,186,040

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ძირითადი საშუალებები გირავნობით არის დატვირთული სს თიბისი ბანკის სასარგებლოდ სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც დათარიღებულია 2015 წლის 2 აპრილით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 12 იანვარს კომპანიამ სს საქართველოს ბანკთან გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება და აღებული სესხის თანხით დაფარა სს თიბისი ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება, შესაბამისად კომპანიის ძირითადი საშუალებები გირავნობით დაიტვირთა სს საქართველოს ბანკის სასარგებლოდ(იხ. შენიშვნა 17).

2020 წელს შვილობილმა კომპანიამ შპს დი+-მა განახორციელა ზოგიერთი ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა, კერძოდ განახორციელა ვადის გაზრდა .

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

11. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სააღრიცხვო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
2017 წლის 1 იანვარს	187,940	109,140	297,080
შესყიდვები		19,080	19,080
გასვლები	(10,345)		(10,345)
2017 წლის 31 დეკემბერს	177,595	128,220	305,815
შესყიდვები		11,736	11,736
გასვლები			-
2018 წლის 31 დეკემბერს	177,595	139,956	317,551
შესყიდვები	9,340	32,379	41,719
გასვლები			-
2019 წლის 31 დეკემბერს	186,935	172,335	359,270
შესყიდვები		1,366	1,366
გასვლები			-
2020 წლის 31 დეკემბერს	186,935	173,701	360,636
შესყიდვები		932	932
გასვლები			-
2021 წლის 31 დეკემბერს	186,935	174,633	361,569
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვარს	(97,838)	(9,867)	(107,705)
წლის ცვეთა	(7,066)	(12,404)	(19,470)
გასვლები			
2017 წლის 31 დეკემბერს	(104,904)	(22,271)	(127,175)
წლის ცვეთა	(17,020)	(15,844)	(32,864)
გასვლები			
2018 წლის 31 დეკემბერს	(121,924)	(38,115)	(160,039)
წლის ცვეთა	(18,283)	(16,642)	(34,925)
გასვლები			
2019 წლის 31 დეკემბერს	(140,207)	(54,757)	(194,964)
წლის ცვეთა	(13,561)	(20,902)	(34,464)
გასვლები			
2020 წლის 31 დეკემბერს	(153,768)	(75,659)	(229,428)
წლის ცვეთა	(10,339)	(21,110)	(31,449)
გასვლები			
2021 წლის 31 დეკემბერს	(164,107)	(96,769)	(260,876)
2017 წლის 1 იანვარს	90,102	99,273	189,375
2017 წლის 31 დეკემბერს	72,691	105,949	178,640
2018 წლის 31 დეკემბერს	55,671	101,841	157,512
2019 წლის 31 დეკემბერს	46,728	117,578	164,306
2020 წლის 31 დეკემბერს	33,167	98,042	131,209
2021 წლის 31 დეკემბერს	22,828	77,864	100,692

შპს სტერეო +

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

12. ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის მოიცავს საბალანსო ღირებულებით 129 910 ლარი, რომელიც გადახდილია „JIANGSU YINHE DIGITAL TECHNOLOGY CO., LTD.“-სთვის.

13. მარაგები

	2021	2020
	ლარი	ლარი
საქონელი	51,080	50,379
სხვა ინვენტარი	75,854	57,643
	126,934	108,022

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო მარაგი მოიცავს საწვავის მარაგსა და იმ აქსესუარების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც გამოიყენება “TV Mobile” მომსახურების მისაწოდებლად და მიმღებებს („რესივერი“) და შვილობილი კომპანიის, „დი+“-ის მიერ ფლობილ სხვა აქსესუარებს. მარაგები არ ყოფილა დაგირავებული საბანკო სესხების და სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
	ლარი	ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	3,258,044	4,967,791
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	9,226	113,518
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	139,860	150,402
საეჭვო ვალების რეზერვები	(150,828)	(1,441,629)
სხვა მოთხოვნები	101,842	
	3,358,143	3,790,081

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ცვლილებები გაუფასურების ზარალის რეზერვში პერიოდის განმავლობაში:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2021	2020
	ლარი	ლარი
ნაშთი 1 იანვარს	1,441,629	539,424
წლის ანარიცხი	150,828	1,299,706
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩამოწერილი ოდენობები	(1,441,629)	(397,501)
ნაშთი 31 დეკემბერს	150,828	1,441,629

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021	2020
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	4,554	52,225
საბანკო ნაშთები	434,089	342,922
	438,643	395,147

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის არსებითი სხვაობა არ არის.

16. სააქციო კაპიტალი

2002 წლის ივნისში, როდესაც კომპანია ოფიციალურად დაარსდა, მისმა დამფუძნებლებმა სააქციო კაპიტალში შეიტანეს 364 290 ლარი მათი საკუთრების წილის მიხედვით: დავით ზილფიმიანი - 247 720 ლარი, ზურაბ ჭელიძე - 40 070 ლარი, მარკო კუპოლეტი - 36 430 ლარი; ვახტანგ ჭკუასელი - 40 070 ლარი. 2014 წელს სააქციო კაპიტალი გაიზარდა 28 065 ლარით.

2016 წლის მაისში დამფუძნებელმა ლუკა სევერინიმ შპს სტერეო + -ის 15%-იანი წილი მიჰყიდა ლაშა ზილფიმიანს 200 000 აშშ დოლარად.

2016 წლის მაისში ლუკა სევერინიმ შპს სტერეო + -ის აქციების 25% მიჰყიდა რობერტ ხახალევს 400 000 აშშ დოლარად. ხელშეკრულების თანახმად მყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ შეიტანდა 600 000 აშშ დოლარს კომპანიის სააქციო კაპიტალში. ამრიგად, მაისში სააქციო კაპიტალი გაიზარდა 1 320 180 ლარით (600 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი). ხელშეკრულების თანახმად რობერტ ხახალევს არ ექნებოდა საწესდებო კაპიტალიდან თანხის გატანის უფლება 2023 წლის 1 იანვრამდე. 2016 წლის განმავლობაში რობერტ ხახალევმა განახორციელა 574 867 აშშ დოლარის (1 350 202 ლარის ეკვივალენტი) ოდენობით ფულადი სახსრების შენატანი საწესდებოკაპიტალში. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის 25 133 აშშ დოლარი (66 522 ლარის ეკვივალენტი) რჩება დამფუძნებელთა მიმართ არსებული მოთხოვნის დაუფარავი ნაშთის სახით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ცვლილებების შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბერს საკუთრება განაწილდა შემდეგნაირად: დავით ზილფიმიანი - 50%, ლაშა ზილფიმიანი - 15%, რობერტ ხახალევი - 25%, ლუკა სევერინი - 10%.

დამატებით გადახდილი კაპიტალი მოიცავს ჯგუფის მესაკუთრეების მიერ შეტანილ თანხებს, რომელიც აღემატება მესაკუთრის კაპიტალის ავტორიზებულ ოდენობას. ჯგუფის დამატებით გადახდილი კაპიტალი მოიცავს ჯგუფის მესაკუთრის, დავით ზილფიმიანისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანხას, რომელიც მას აპატიეს (16 124 ლარი 2015 წელს, 233 293 ლარი 2014 წელს და 111 242 ლარი 2013 წელს) და მესაკუთრეთა მიერ 2014 წლის ნოემბერში შეტანილი გადამცემი მოწყობილობის ღირებულებას (604 150 ლარი), რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ (შპს „აუდიტის ცენტრი“).

2017 წლის 20 იანვარს და 2017 წლის 19 მაისს დადებული პარტნიორთა გადაწყვეტილების აქტის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ რობერტ ხახალევმა აიღო ვალდებულება, გაეზარდა საწესდებო კაპიტალი ჯამური ოდენობით 2 000 000 აშშ დოლარი, რაც სრულად იქნა შესრულებული.

2018 წლის 29 ნოემბერს დადებული პარტნიორთა გადაწყვეტილების აქტის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ რობერტ ხახალევმა აიღო ვალდებულება, გაეზარდა საწესდებო კაპიტალი ჯამური ოდენობით 600 000 აშშ დოლარი, რაც აღიარდა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნა დამფუძნებელთა მიმართ. აუდიტის დასკვნის გამოშვების თარიღისთვის მესაკუთრე რობერტ ხახალევმა შეასრულა ვალდებულება და გაზარდა საწესდებო კაპიტალი 525 000 აშშ დოლარით.

2019 წლის 11 დეკემბერს დადებული პარტნიორთა გადაწყვეტილების აქტის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ რობერტ ხახალევმა აიღო ვალდებულება გაეზარდა საწესდებო კაპიტალი, ჯამური ოდენობით 400,000 აშშ დოლარი, რაც აღიარდა ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნა დამფუძნებელთა მიმართ.

2021 წლის 26 ნოემბერს დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კაპიტალის შემცირების შესახებ, კერძოდ:

1) შეწყდა რობერტ ხახალევის მიერ შპს „სტერეო+“-ის 2019 წლის 11 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმით #11-ის თანახმად მის მიერ აღებული ვალდებულება შენატანის განხორციელების შესახებ და იგი აღარ არის ვალდებული განხორციელოს დარჩენილი თანხის ინვესტიცია კაპიტალის სახით 75000 აშშ დოლარის ოდენობით.

2) შეწყდა რობერტ ხახალევის მიერ შპს „სტერეო+“-ის 2018 წლის 29 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმით #7-ის თანახმად მის მიერ აღებული ვალდებულება შენატანის განხორციელების შესახებ და იგი აღარ არის ვალდებული განხორციელოს დარჩენილი თანხის ინვესტიცია კაპიტალის სახით 400 000 აშშ დოლარის ოდენობით.

3) კომპანიის კაპიტალი დამატებით შემცირდეს 188 200 ლარის ოდენობით, მისი პარტნიორის რობერტ ხახალევის მიერ კაპიტალის სახით განხორციელებული შენატანის გატანის გზით“. აღნიშნული თანხის გატანა განხორციელდა 2021 წლის 29 ნოემბერს.

2020 და 2021 წლებში არ გამოცხადებულა და განაწილებულა დივიდენდები.

შპს სტერეო+“-ის შვილობილი კომპანიის შპს დი+“-ის (400166262) საბუღალტრო ჩანაწერებში საჭირო გახდა 2019 და 2020 წლის ჩანაწერების კორექტირება, რაც განპირობებულ იქნა ბილინგის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზით,

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კერძოდ, ბილინგის სისტემამ არასწორად დააგენერირა რეკლამის მიზნით გაწეული უსასყიდლო მომსახურება (პრომო აქციის სახელწოდებით) და აქციის დამთავრების შემდეგ, აბონენტებისთვის გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული თანხები დატოვა იგივე სახელწოდების (პრომო აქციის) კატეგორიაში (ანუ უსასყიდლო მომსახურებაზე), რის გამოც 2019 და 2020 წლის საბუღალტრო ჩანაწერებში სავაჭრო მოთხოვნები შემცირებული , ხოლო „სხვა ხარჯები“ გაზრდილი ოდენობით იყო წარდგენილი. აღნიშნული შეცდომის კორექტირება განხორციელდა „გაუნაწილებელი მოგება /დაგროვილი ზარალი“ მუხლში.

17. სესხები

2021 წლის 31 დეკემბერს

გრძელვადიანი ნაწილი (ძირი თანხა)

დავით ზილპიმიანი (სესხი 26.06.2012)

საქართველოს ბანკი

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს

მიმდინარე ნაწილი (ძირი თანხა და პროცენტი)

თიბისი ბანკი (სესხი 02.04.2015)

EBRD (სესხი 02.04.2015)

თიბისი ბანკი (სესხი 29.09.2017)

საქართველოს ბანკი

დავით ზილპიმიანი (სესხი 26.06.2012)

საპროცენტო ვალდებულება

სულ მიმდინარე ნაწილი

2020 წლის 31 დეკემბერს

			2020	2021
დაფარვის ვადა	პროცენტი	ვალუტა	ლარი	ლარი
	18%	ლარი	264,493	0
		ევრო		2,299,099
			264,493	2,299,099
			2020	2021
დაფარვის ვადა	პროცენტი	ვალუტა	ლარი	ლარი
25-მაისი-22	9% დამატებული EURIBOR .1%	ევრო	963,452	11,407
25-მაისი-22	9% დამატებული EURIBOR 0.1%	ევრო	1,894,536	21,900
28-იანვარი-18	9,1%	ევრო	80,396	0
		ლარი		300,000
		ლარი		153,431
		ლარი	205,849	5,853
			3,144,233	492,591
			3,408,726	2,791,690

2020 წლის 31 დეკემბერს შპს სტერეო+-სა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება. 2021 წლის 12 იანვარს კი გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 800 000 ევროზე გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება. სესხის მიზნობრიობა არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, სს თიბისი ბანკისა და სს თიბისი ლიზინგის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვა. სესხის ხელშეკრულებით ვალდებულებების დაფარვის ბოლო ვადაა 2025 წლის 17 ივნისი. მსესხებელი გადაიხდის პროცენტს ძირითად თანხაზე წლიური - 6 თვიან LIBOR განაკვეთს დამატებული 6%, მაგრამ არანაკლებ 6%-ისა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2021 წლის 25 ოქტომბერს გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში 500 000 ლარზე გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება. აუდიტის პროცესის დასრულების თარიღისთვის აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელმა სასესხო ვალდებულების ნაშთმა შეადგინა ნული ლარი.

18. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	2021	2020
ფინანსური იჯარები: მინიმალური საიჯარო გადახდები	ლარი	ლარი
1 წლის განმავლობაში	-	23,589
1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	-	29,486
სულ ვალდებულება	-	53,075
მომავალი ფინანსური დარიცხვები	-	14,970
ნაშთი 31 დეკემბრის	-	38,105

წარმოდგენილი როგორც მიმდინარე სესხები 14,019

წარმოდგენილი როგორც გრძელვადიანი სესხები 24,086

დაფარვის ვადით 1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა

დაფარვის ვადით 5 წელზე მეტი

2019 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ სს „თიბისი“ ბანკთან გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება # LA-88705) ფინანსური იჯარით მიიღო ავტომობილი ტოიოტა LC200, 2019 წლის მოდელი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 18.19%. მოიჯარეს გადაეცა საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ავალდებულებს აქტივის შესყიდვას, რომელიც აღსრულებდა იჯარის ვადის ბოლოს და იჯარის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 20 დეკემბერი. 2020 წლის 27 აგვისტოს კომპანიის მიერ განხორციელდა ვალდებულების ნაწილის, 106 632 ლარის ოდენობით, წინსწრებით დაფარვა, ხოლო 2021 წლის 27 იანვარს დარჩენილი ვალდებულების სრულად წინსწრებით დაფარვა.

19. დღგ-ს ვალდებულება

2020 წლის 21 თებერვალს კომპანიამ წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს საგადასახადო დავალიანების შემცირებისა და ვალდებულების გადახდის გრაფიკისათვის საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. 2020 წლის 27 აპრილს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული აქვს საგადასახადო შეთანხმება საგადასახადო ვალდებულების აღიარებისა და აღიარებული

ვალდებულების (2 495 000 ლარის ოდენობით) 1825 კალენდარული დღის განმავლობაში 5-ჯერ თანაბარწილად გადახდის შესახებ ქვემოთ მითითებული გრაფიკის მიხედვით:

- 1) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 365 კალენდარულ დღეში;
- 2) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 730 კალენდარულ დღეში;
- 3) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 1095 კალენდარულ დღეში;
- 4) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 1460 კალენდარულ დღეში;
- 5) 499 000 ლარი შეთანხმების გაფორმებიდან 1825 კალენდარულ დღეში;

საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმების აქტი ითვლება გაუქმებულად, კომპანიას დაეკისრება ერთის მხრივ ჯარიმა გადაუხდელი თანხის 10 პროცენტი და მეორეს მხრივ გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაუყოვნებლივ დაფარვის ვალდებულება. ამასთან საგადასახადო შეთანხმება მიზნად ისახავს კომპანიის დავალიანების შემცირებას 956 705 ლარის ოდენობით ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების კომპანიის მიერ შესრულების შემთხვევაში.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის გადასახდელ დღგ-ს ნაწილში ასახული თანხის ოდენობა მოიცავს საგადასახადო შეთანხმებაში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებულ პირველ გადასახდელს 499 000 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულ საგადასახადო დავალიანებასთან და ასევე დამატებით დაკისრებულ სანქციებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N 1741 განკარგულების თანახმად, შპს სტერეო+-სა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირების თაობაზე. კერძოდ, შემცირებულმა საგადასახადო დავალიანების თანხამ შეადგინა 4,065,642 ლარი, ხოლო გადასახდელი საგადასახადო დავალიანება კი განისაზღვრა 500 000 ლარის ოდენობით, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილ იქნა საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	2,843,050	3,677,920
სახელფასო ვალდებულებები	19,805	26,043
სხვა ვალდებულებები და დარიცხვები	2,134	3,945
	2,864,989	3,707,907

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო ვალდებულებებში შევიდა 688 240 ლარის ოდენობით (2018: 519,802 ლარი) ვალდებულება შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრის“ მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს საოპერაციო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მომსახურებას (მონიტორინგი, ჩართვა/გამორთვა, განთავსება-დამუშავება) ჯგუფის აღჭურვილობისთვის, რომელიც მდებარეობს თბილისის სატელევიზიო ანძაზე. ჯგუფს აქვს დავა შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრთან“, როგორც ეს განხილულია 22-ე შენიშვნაში.

საანგარიშგებო თარიღისთვის, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალნსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიანი ღირებულების შესაბამისად.

21. სხვა საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
	ლარი	ლარი
პირადი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	41,543	(212,165)
ქონების გადასახადი	64,391	30,587
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	72,299	2,939,685
	178,234	2,758,108

22. პირობითი ვალდებულებები

2012 წლის მაისში შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრმა გამართო კომპანიის მაუწყებლობა თბილისის სატელევიზიო ანძიდან. სანაცვლოდ კომპანიამ უარი განაცხადა 2012 წლის მომსახურების საფასურის გადახდაზე. 2014 წლის ოქტომბერში შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრმა სარჩელი შეიტანა კომპანიის წინამდებდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც ითხოვდა 2012 წლის მომსახურების საფასურის გადახდას, რაც შეადგენდა 153 788 ლარს. შემდგომში კომპანიამ შეიტანა შესაგებელი სარჩელი შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრის წინამდებდ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მათ განიცადეს თბილისის სატელევიზიო ანძიდან გათიშვის გამო, რამაც შეადგინა 85 845 აშშ დოლარი.

შპს ტელერადიო ცენტრის სარჩელი დაკმაყოფილდა და კომპანიას დაეკისრა 216 425 ლრის გადახდა, რომელშიც შედიოდა 6 000 ლარი ჯარიმა, ხოლო კომპანიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა 2017 წლის 13 ნოემბერს.

კომპანიის იურისტების მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ვერ დაადგინა ზიანის მიყენების ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და

დამდგარ ზიანს შორის და არ დააკმაყოფილა შპს „სტერეო+“-ს მოთხოვნა. კომპანიას აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება აუდიტის პროცესის დასრულების თარიღისთვის ჩაბარებული არ აქვს. უზენაეს სასამართლოში შეტანილია ფორმალური საჩივარი, რომელსაც კომპანიის იურისტი დაასაბუთებს ხსენებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, რის საფუძველზეც კომპანიას აქვს მოლოდინი, რომ უზენაესი სასამართლო დააკმაყოფილებს საჩივარს.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-ს სარჩელი აქვს შეტანილი შპს „ტელეკომპანია I სტერეო“-ს წინააღმდეგ და მოითხოვს 370 183 ლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრებას მხარეთა შორის დადებული მულტიპლექს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო. აღნიშნული თანხა მოიცავს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი 6 თვიანი ვადის დარღვევის ჯარიმას და თანხის გადახდის გადაცილების გამო გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს.

2019 წლის 19 ივლისს პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება და შპს „სტერეო+“-ის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა 157 101 ლარის ფარგლებში. გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმისწარმოება ჯერ არ დასრულებულა. კომპანიის იურისტების მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ფონზე სააპელაციო სასამართლომ ძალაში უნდა დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „სტერეო+“-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 157 101 ლარის დაკისრების სახით.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-ს სარჩელი აქვს შეტანილი ააიპ სამოქალაქო განათლების ფონდის წინააღმდეგ და მოითხოვს თანხის დაკისრება 61177 ლარის ოდენობით.

მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული მხარეთა შორის 2014 წლის 27 ოქტომბერს დადებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, თუმცა მოპასუხე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლაში. იურისტებს აქვთ საფუძვლიანი მოლოდინი, რომ ძალაში დარჩება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

მოსარჩელე შპს სტერეო+-მა 2021 წლის ივნისში დავა დაიწყო შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“-ს წინააღმდეგ. მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 397 500 ლარის გადახდასა და ხელშეკრულების პირობების დარღვევით ხელშეკრულების შეწყვეტისათვის 135 479 ლარის ჯარიმის სახით დაკისრებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მხოლოდ 22570 ლარის ფარგლებში. დავალიანების დარჩენილი თანხა არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო, ასევე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ჯარიმის დაკისრების ნაწილში. კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა შემდგომ ინსტანციაში და იგი შევიდა კანონიერ ძალაში. მხარეთა შეთანხმებით აღნიშნული თანხით განხორციელდა კომპანიებს შორის არსებული მოთხოვნისა და ვალდებულების გადაფარვა.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-მა 2021 წლის მაისში დავა დაიწყო შპს „იბერია ტვ“-ის წინააღმდეგ. მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 109 526 ლარისა და ელტელსატის სატელიტის მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 43 637 ლარის გადახდას.

დავა მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში და მტკიცებულებებზე დაყრდნობით იურისტებს აქვთ მოლოდინი, რომ დავა დასრულდება შპს „სტერეო+“-ის სასარგებლოდ.

მოსარჩელე შპს „სტერეო+“-მა 2021 წლის ნოემბერში დავა დაიწყო შპს „საფერავი ტვ“-ის წინააღმდეგ. მოთხოვნა ეფუძნება მოპასუხის მხრიდან შპს „სტერეო+“-ის წინაშე არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების 184 240 ლარის გადახდას.

დავა მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოპასუხე მხარეს დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია შესაგებელი. 2022 წლის 12 აპრილს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელე სტერეო+“-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შპს „სტერეო+“-ს შპს „ტელეკომპანია I სტერეო“-ს, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“-ის, შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“-ს, შპს „იბერია ტვ“-სა და შპს „საფერავი ტვ“-ის მიმართ არსებული მოთხოვნების მიმართ წინა წლებში შექმნილი აქვს საეჭვო ვალების ანარიცხი.

23. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება რისკებს რომლებიც წარმოიშობა მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. წინამდებარე შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებს და პროცესებს აღნიშნული რისკების სამართავად და მათ შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

კეთდება დაშვება, რომ ლიკვიდური ან მოკლე დაფარვის ვადის მქონე ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უახლოვდება.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკების დადგენაზე და ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას აღნიშნულზე, ხელმძღვანელობა ახდენს მიზნებისა და პოლიტიკების ეფექტურ დანერგვაზე პასუხისმგებელი პროცესების შემუშავების და დანერგვის უფლებამოსილების დელეგირებას კომპანიის ფინანსურ ფუნქციაზე.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკების დადგენა რომლებიც, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ამცირებენ რისკებს, კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე უარყოფითი გავლენის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ პოლიტიკებზე წარმოდგენილია ქვემოთ. მისი ოპერაციების შედეგად, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები რომლებიდანაც ფინანსური ინსტრუმენტის რისკები წარმოიშვება, არის შემდეგი:

	2021	2020
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,218,283	3,639,679
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	438,643	395,147
სულ ფინანსური აქტივები	3,656,926	4,034,826
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	2,791,690	3,448,815
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,864,989	3,707,907
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,656,679	7,156,723

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია გასწევს ფინანსურ ზარალს თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო რისკს მისი საკრედიტო გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ როდესაც კონტრაქტები ფინანსური სირთულეების წინაშე დგანან და არ შეუძლიათ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების (დაუბრუნონ ფულადი სახსრები კომპანიას) დაკმაყოფილება. კომპანიას შეიძლება შეეძმნას სირთულეები მისი მოთხოვნების ამოღებისას და შედეგად, ჰქონდეს არასაკმარისი ფულადი სახსრები მისი საქმიანობის სამართავად.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკსზე მაქსიმალურ დაქვემდებარებას. საანგარიშგებო თარიღისთვის, მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე იყო შემდეგი:

	2021	2020
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,218,283	3,639,679
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	438,643	395,147
მაქსიმალური საკრედიტო დაქვემდებარება	3,656,926	4,034,826

ის ფინანსური აქტივები, რომელთა გამო კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებულ მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვის შედეგად. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება მისი მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილება მათი ვადის დადგომისას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მდგომარეობაზე. წინდახედული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და შესაბამისი ოდენობით მოზიდული საკრედიტო ხაზების საშუალებით დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად მისი კაპიტალისა და სესხების საშუალებით ფინანსდება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდება. საბაზრო რისკი წარმოიშვება კომპანიის მხრიდან პროცენტიანი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. აღნიშნული წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და უცხოური გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების გამო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

• საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებებიდან, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი (ცვალეადი ღირებულებით) უკავშირდება პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, ცვლადი განაკვეთის გამო. კომპანიის ყველა პროცენტიანი აქტივი და ვალდებულება ატარებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება. კომპანია დაქვემდებარებულია ძირითადი უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსების ცვალეადობის გავლენაზე მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის დაქვემდებარება უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის რისკზე წარმოდგენილია ქვემოთ:

	2021			2020		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	378,429	16,163	44,050	389,386	4,122	1,639
სავაჭრო მოთხოვნები	2,997,319	220,964		3,639,679		
სულ ფინანსური აქტივები	3,375,748	237,127	44,050	4,029,065		
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,320,761	415,634	1,128,594	3,707,907		
სულ ფინანსური ვალდებულებები	459,284		2,332,406	2,299,099	38,105	492,591
ღია საბალანსო პოზიცია	1,780,045	415,634	3,461,000	264,493		

24 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება იგივე პირობებით, რაც ეკვივალენტურია არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გარიგებების.

	2021	2020
	ლარი	ლარი
სესხები:		
მესაკუთრეები	-	2,304,952
	2020	2020

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	ლარი	ლარი
წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება		
ხელფასები და მოკლევადიანი სარგებელი	289,750	182,500
მესაკუთრე: დავით ზილფიმიანი	-	292,500

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურებას შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 21 იანვარს გამართულ დამფუძნებელთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომპანიის კაპიტალის დამატებით 127,302 ლარის ოდენობით შემცირების თაობაზე, მისი პარტნიორის დავით ზილფიმიანის მიერ კაპიტალის სახით განხორციელებული შენატანის გატანის გზით, ხოლო დავით ზილფიმიანზე, როგორც 2021 წლამდე დაქირავებულ პირზე, გასულ წლებში 101,842 ლარის ოდენობის ავანსად გადახდილი ხელფასი და მასზე გადახდილი 25,460 ლარის ოდენობის საშემოსავლო გადასახადი ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე დაკვალიფიცირდა როგორც დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ამოღება.

26. ბიზნეს გარემო

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში-ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ახალი კორონავირუსით დაზარალებული ქვეყნების რაოდენობამ 190-ს გადააჭარბა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა.

ახალმა კორონავირუსმა (SARS-CoV-2) და მის მიერ გამოწვეულმა დაავადებამ (COVID-19) კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა, რადგან პანდემიამ ადამიანების დანაკარგთან ერთად უპრეცედენტო ეკონომიკური დანახარჯები გამოიწვია. „დიდმა ლოკდაუნმა“ (Gopinath, 2020), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სინქრონულად შეასუსტა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში, მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მოხმარება, განსაკუთრებით დააზიანა მომსახურების სექტორი, დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ბაზარს და საერთაშორისო ვაჭრობას. COVID-19-თან გამკლავება ყველა ქვეყნის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი გახდა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის.

პანდემიურმა კრიზისმა ყველაზე მეტად დააზარალა ტურისტული და სამშენებლო ინდუსტრია, მომსახურების სფეროს სექტორები, დიდი დარტყმა მიაყენა საერთაშორისო ვაჭრობას, არსებითად იკლო გლობალურმა მოთხოვნამ ქართულ პროდუქციაზე, COVID-19-ით პროვოცირებულმა კრიზისმა და მასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ არსებითად შეასუსტა უცხოელ ინვესტორთა ინტერესი განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკმაოდ მკვეთრ კლებაში გამოვლინდა. შედეგად, მასობრივად დაიკარგა სამუშაო ადგილები და დაიშრიტა შინამეურნეობების რეგულარული შემოსავლის წყაროები, რამაც სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდის რეალური საფრთხე წარმოქმნა.

საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია დამოკიდებულება უცხოეთიდან შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებზე, წარსულში ფულადი გზავნილები მიმღებ ქვეყნებში ანტიკრიზისულ როლს ასრულებდა. ამჟერად, როდესაც პანდემიამ თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი კრიზისის დამძიმების რისკფაქტორად იქცა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ 2022 წელი იქნება „COVID-19“-ის პანდემიის დასასრული. გამომდინარე იქიდან, რომ ორი წელი ამ ვითარებაში ვართ, საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს ვირუსს და ყველა ვაქცინის არსებული მარაგი საკმარისია იმისათვის, რომ 2022 წლის პირველი ნახევრისთვის მსოფლიო მოსახლეობის ზრდასრული ნაწილი სრულად აიცრას. ვირუსის გავრცელების და ახალი საშისი შტამების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სულ უფრო მეტი ადამიანის ვაქცინაცია. „თუ ჩვენ არ ავცრით მთელ მსოფლიოს, ვფიქრობ, პანდემიას ვერ დავასრულებთ“ - განაცხადა ჯანმომ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ბიზნესი შედარებით ნაკლებად დაზარალდა მსოფლიო პანდემიის პირობებში.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 04 ივლისს.

შპს სტერეო+ 204986408

2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია სტერეო+ დაარსდა 2002 წლის 19 ივნისს, საქართველოში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფისის რეგისტრირებული მისამართია: თბილისი, ალექსიძის ქ. 1, საქართველო. თავდაპირველად მისი საკუთრების სტრუქტურა იყო შემდეგი: დავით ზილფიმიანი – 68%, მარკო კოპულეტი – 10%, ზურაბ ჭელიძე – 11%, ვახტანგ ჭკუასელი – 11%

2014 წელს მოხდა კომპანიის საკუთრების ცვლილება და კომპანიის მესაკუთრეები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ ლუკა სევერინი 50% და გიორგი ხითარიშვილი 50%

2015 წელს მოხდა კომპანიის საკუთრების ცვლილება და კომპანიის მესაკუთრეები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ დავით ზილფიმიანი 50% და ლუკა სევერინი 50%

2016 წელს საკუთრების ცვლილების მოხდენის შედეგად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები იყვნენ დავით ზილფიმიანი 50%, ლაშა ზილფიმიანი 15%, რობერტ ხახალევი 25% და ლუკა სევერინი 10%.

2022 წლის თებერვალში საკუთრების ცვლილების შედეგად წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: დავით ზილფიმიანი 50%, ლაშა ზილფიმიანი 25%, რობერტ ხახალევი 25%. ხოლო 2022 წლის 27 ივნისს კვლავ მოხდა საკუთრების ცვლილება, შედეგად კომპანიის მესაკუთრეთა წილებია: დავით ზილფიმიანი 50%, რობერტ ხახალევი 25%, ელენა ხახალევა 15% და ლაშა ზილფიმიანი 10%.

2011 წლიდან კომპანია ფლობს შპს ომეგას 100% -იან წილს. შპს ომეგა არის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც არის ავტორიზებული პირი მაუწყებლობის სფეროში და ასევე ფლობს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურების ლიცენზიას მანგლისის რეგიონში. მას აქვს სატელევიზიო არხი „ომეგა ტვ“.

კომპანია უზრუნველყოფს ტელე მაუწყებლობას და თავის შვილობილებთან შპს ომეგას და შპს დი+სთან (ჯგუფი) ერთად ასევე უზრუნველყოფს, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურებას, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო არხების შექმნასა და შენარჩუნებას. 2021 წლამდე კომპანია უზრუნველყოფდა ტვ მობაილის სერვისით (ციფრული

ტელემაუწყებლობის მომსახურება ავტომობილებისათვის) მომსახურებას, რომელიც შეწყვიტა მისი არარენტაბელობის გამო. ჯგუფი ფლობს რამდენიმე ლიცენზიას ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით მომსახურებაზე და ოპერირებს საკუთარი ტექნიკური აღჭურვილობით, ასევე გავლილი აქვს ავტორიზაცია მაუწყებლობის სფეროში.

ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენდა, რომელიც ჟენევის 2006 წლის GE06 ხელშეკრულების ფარგლებში საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენდა. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის შესაბამისადაც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები“. 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო ვადად, რაც ნიშნავს რომ ამ თარიღის შემდეგ ანალოგური მიწისზედა მაუწყებლობა საქართველოში აღარ იქნებოდა.

2014 წლის 10 ივლისს საქართველოს ეროვნული კომუნიკაციის კომისიამ (GNCC) გამოაცხადა კომპანია კონკურსში გამარჯვებულად და იგი გახდა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სიგნალით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სამი ლიცენზიის მფლობელი MUX-B, MUX-E და MUX-D. MUX-B და MUX-E ლიცენზიით კომპანიას აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ეროვნული მაუწყებლობის გავრცელება საქართველოს მასშტაბით ღია ეთერით უფასოდ, ხოლო MUX-D ლიცენზიით შესაძლებელია სიგნალის გავრცელება ფასიანი კრიპტო-კოდირებული ფორმით, ეგრეთწოდებული დაშიფრული ფორმატით კომერციული მიზნებისთვის.

საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის და სატელევიზიო მაუწყებლობის გამოცდილების მქონე ჯგუფმა 2015 წელს დაასრულა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის აწყობა მთლიანი საქართველოს დასაფარად. გადართვის პროცესი დაიწყო 2015 წლის 17 ივნისს და დასრულდა 2015 წლის 1 სექტემბერს, GNCC-მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. კომისიამ დაადასტურა, რომ შპს სტერეო+ -მა შეასრულა დაკისრებული მოვალეობები. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც ანალოგური მაუწყებლობიდან გადავიდა ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე.

2016 წლის 11 მარტიდან კომპანია ფლობს შპს დი+ -ის 100% იან წილს, რომელიც არის დამოუკიდებელი სუბიექტი და ოპერირებს როგორც ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა.

შპს დი+ ახორციელებს „ციფრული ტელევიზიის“ პროექტს, რომელიც დაარსდა 2017 წლის მაისში. ციფრული ტელევიზია არის ციფრული მაუწყებლობის ოპერატორი, რომელიც

მომხმარებელს საქართველოს ყველა რეგიონში სთავაზობს ტელე არხების პაკეტს. ქართული არხების უფასოდ მიწოდების გარდა, ციფრული ტელევიზია კლიენტებს სთავაზობს ფასიან პაკეტს „PAY TV“ რომელიც აერთიანებს დაახლოებით 41 მაღალრეიტინგულ არხს. ამ სატელევიზიო პაკეტის ღირებულებაა 6-დან 14 ლარამდე თვეში. კომპანია უზრუნველყოფს სხვა და სხვა არხის გავრცელებას მაღალი ხარისხით სატელიტური თეფშისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე. მომხმარებელმა, რომ მიიღოს სიგნალი სჭირდება მხოლოდ მოწყობილობა და დეციმეტრული ანტენა, რაც მას ხდის მომხმარებლისთვის მიმზიდველს და კონკურენტუნარიანს ბაზარზე.

2019 წლის განმავლობაში აბონენტთა რაოდენობის ზრდის შედეგად 116 პროცენტით გაიზარდა დი+-ის შემოსავლები 2018 წელთან შედარებით, 2020 წლის შემოსავლები 45 პროცენტით 2019 წელთან შედარებით, ხოლო 2021 წლის შემოსავლები 20 პროცენტით არის გაზრდილი 2020 წელთან შედარებით.

უმნიშვნელოდ, მაგრამ გაზრდილია (6%) 2021 წლის სტერეო+ შემოსავლები 2020 წელთან შედარებით.

ჯგუფი მუდმივად ატარებს საჭირო ღონისძიებებს აბონენტების ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები

1. ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
2. ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობა
3. მსოფლიო პანდემია
4. რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის ფაქტორი.

სტერეო+-ის სასესხო, კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე როგორც შვილობილი კომპანიის შპს დი+-ის საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტებშია, შემოსავალს კი იღებს ლარში. ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ უცხოური ვალუტებთან მიმართებაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან კომპანიების შესაძლებლობა, გაზარდოს მომსახურების ფასები-შეზღუდულია.

რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ტელევიზიებისთვის რეკლამის მიმწოდებელი სუბიექტების შემცირება და ტელევიზიები გახადონ გადახდისუუნარონი, რაც პირდაპირ აისახება შპს სტერეო+-ის შემოსავლებზე, ეს კი ზრდის კომპანიის ლიკვიდურობის რისკს.

პანდემიის გამო დაიხურა ბევრი ობიექტი, უმუშევარი დარჩა ბევრი სუბიექტი, რომელიც შპს დი+-ის ან იყო აბონენტი ან პოტენციურ აბონენტს წარმოადგენდა. მართალია დღეისთვის გაიხსნა და ამუშავდა გარკვეული ობიექტები, მაგრამ ბევრი ობიექტი გაკოტრდა კიდევ.

რუსეთის მიერ უკრაინასთან წარმოებული ომის გამო გატარდა მთელი რიგი ეკონომიკური თუ ფინანსური სანქციებისა, როგორც რუსეთის წინააღმდეგ, ასევე რუსეთის მხრიდანაც. ამ

ყველაფერს დიდი გავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკური დონის მაჩვენებლებზე. გამონაკლისი არც საქართველოა, გაიზარდა ფასები და ინფლაციის მაჩვენებელი, რაც პირდაპირ მომხმარებლის ჯიბეზე აისახება და რაც იწვევს კომპანიების შემოსავლის წყაროების გაღარიბებას. თუმცა, ხელმძღვანელობის მსჯელობით, არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ ეჭვქვეშ დადგეს ჯგუფის ფუნქციონირების უნარი.

კომპანიის ხელმძღვანელობა მცდელობას არ აკლებს განაახლოს ან შეცვალოს სამოქმედო პოლიტიკა ისე, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს ბაზარზე.

5. კორპორატიული მართვის ანგარიშგება

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, დამფუძნებელთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია ყოველივე ზემოაღნიშნულს ახორციელებს

1. თანასწორობის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა დამფუძნებლის თანაბარ შესაძლებლობას იყოს ჩართული და დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში არსებობს ქმედითი მექანიზმი.
2. დამფუძნებელთა შესაძლებლობით, დროულად მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.
3. ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფით. კომპანიის მართვა ხორციელდება მმართველი რგოლების პასუხისმგებლობის მაღალი დონით, უფლება-მოვალეობების მკაცრი გამიჯვნისა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.
4. კომპანიის დამფუძნებელთა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით.
5. თანამშრომელთა ჩართულობით კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასაძაღვლებლად.
6. ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობით კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში.

კომპანიის მართვის ორგანოებია

დამფუძნებელ-პარტნიორთა საერთო კრება, მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც დამფუძნებლები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

კომპანიის დირექტორი კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ დადგენილი გადაწყვეტილებების აღსრულებას.

მალხაზ კვარაცხელია



შპს სტერეო+ დირექტორი

